საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 142 (162) სამშაბათი, 23 ივლისი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

შეხვედრა საქართველოს მთავრობაში

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები შეიკრიბნენ საქართველოს მთავრობაში, რათა განეხილათ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, დაესახათ მისი დაძლევის გზები. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ცენტრი ყოველნაირად ცდილობს გააუარესოს რესპუბლიკის მდგომარეობა, ფაქტობრივად ეკონომიკური ბლოკადა გამოაცხადა და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი სამეურნეო მექანიზმი კატასტროფამდე მიიყვანა.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. მან დღევანდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრული და ობიექტური სურათი დახატა. კერძოდ, ითქვა, რომ ნედლეულის მოუწოდებლობის გამო თითქმის გაჩერებულია მრავალი საწარმო, ქარხანა და ფაბრიკა.

კრიზისულ ზღვარს მიაღწია შეფერხებებმა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომარაგებაში. საწვავის უქონლობამ სიძნელეები შექმნა მოსახლეობისათვის პურის მიწოდებაშიც კი. რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მდგომარეობის მოსაგვარებლად. რასაკვირველია, ამ საქმეში დიდია სამინისტროებთან და უწყებებთან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების აქტიური თანამშრომლობის როლი.

სწორედ ასეთი თანამშრომლობის საკითხები გახდა შეხვედრაზე ღრმა განსჯის საგანი.

პრეფექტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ ილაპარაკა რესპუბლიკაში შექმნილ ფინანსურ მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ ცენტრის ტოტალიტარული ხელისუფლების უსისტემო რეფორმებმა, დაგეგმვის სისტემაში გამეფებულმა ზეცენტრალიზაციამ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა და ფინანსები მძიმე კრიზისამდე მიიყვანა. პრაქტიკულად შეწყვეტილია მთელი რიგი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსური რესურსების ფორმირების პროცესი, მკვეთრად შემცირდა მეურნეობის თითქმის ყველა დარგის ფინანსური შესაძლებლობები. ამას ემატება საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობა, მომჭირნეობის, საფინანსო და საგადასახადო დისციპლინის მოშლა. სწორედ მათი აღმოფხვრისათვის უნდა იზრუნონ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა. აუცილებელია დაჩქარდეს პრეფექტურების სტრუქტურებში ეკონომიკური სამსახურის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი კადრებით დაკომპლექტების პროცესი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინონ მცირე საწარმოებსა და კოოპერატივებს ჩამოყალიბებასა და შეუფერხებელ საქმიანობაში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ბიუჯეტის შემოსავლის დავალებათა შესრულებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის შემცირებისათვის.

ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ კოპალიანმა და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ რესან კონცელიძემ ინფორმაცია გააკეთეს რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მოწოდებას. ვაჭრობის სისტემაში შექმნილია რთული, ოპერატიული ვითარება — გახშირდა საქონლის გადამალვის და დახლსქვეშიდან გაყიდვის ფაქტები. რესპუბლიკაში თითქმის აღარ შემოდის საქონელი ცენტრალიზებული წესით, სხვა რესპუბლიკებიდან კი სასაქონლო რესურსების მოზიდვა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ, შეთანხმებულ ფასებში. აღინიშნა, რომ გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მოსახლეობის პურით მომარაგებაში შეფერხებათა თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, აღარ უნდა გაიცეს ფქვილი თავისუფალი გაყიდვისათვის და საზკვების ობიექტებსა და კოოპერატივებში პურის საცხობად.

რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის არასახარბიელო მდგომარეობაზე ილაპარაკა რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კიმ სვანაძემ. მან აღნიშნა, რომ მეორე კვარტალში მკვეთრად გაუარესდა ფულის მიმოქცევა, ბანკი ფულის ნიშნების მწვავე ნაკლებობას განიცდის.

თავისუფალ საბაზრო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ სოციალურ სიძნელეებზე გაამახვილა ყურადღება რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრმა თამაზ ჟუჟუნაშვილმა.

ინფორმაცია რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ოპერატიული ვითარების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ.

სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა ანზორ ქელიძემ ილაპარაკა სოფლის მეურნეობის დარგში მართვის სტრუქტურასა და საკადრო პოლიტიკაზე, აღნიშნა, რომ სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს მეურნეობის სახელმწიფოებრივი სექტორის განსახელმწიფოებრიობის საკითხი.

ეროვნულ გვარდიაში წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის შედეგებზე შეხვედრის მონაწილეებს მოახსენა რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ კიტოვანმა. მან პრეფექტებს სთხოვა, ხელი შეუწყონ ადგილებზე გაწვევის პროცესს.

პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუროს უფროსმა იოსებ ბარათაშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი სერიოზულ მიდგომაზე, მათ დახმარებაზე.

საქნავთობპროდუქტების კონცერნის თავმჯდომარემ გერმანე მეძმარიაშვილმა ილაპარაკა ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგებაში შექმნილ სიძნელეებზე.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გიგინეიშვილი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, უზენაესი საბჭოს წევრი ბეჟან გონაშვილი.

სხვა აქტუალურ პრობლემებთან ერთად შეკრების მონაწილეთა ყურადღება მიექცა ფოთში ევროპის ჩემპიონატის გამართვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აგრეთვე სხვა საკითხებს, რომელთა გადაჭრაც რესპუბლიკის სასიკეთოდ წაადგება.

ადგილებზე წამოჭრილ პრობლემებზე ილაპარაკეს ქ. ქუთაისის, ქ. თბილისის, კასპის, მესტიის, გორის, ლანჩხუთის რაიონების პრეფექტებმა არჩილ კოსტავამ, ირაკლი ანდრიაძემ, ნინო მირიანაშვილმა, ციალა გულედანმა, ომარ ზუბინიძემ და მერაბ გოგუაძემ.

შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ სისტემატურად გაიმართოს ამგვარი კონსულტაციური ხასიათის შეხვედრები.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა ბატონმა თენგიზ სიგუამ.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

ჩემპიონატის წინ

ფოთი: ევროპა-91

ფოთში ავიამგზავრებს ჯერჯერობით აეროპორტის ძველი შენობა ხვდება, მაგრამ იგი მალე ქალაქის „საჰაერო ჭიშკრის" ფუნქციებს გადაულოცავს ახალ ქათქათა კორპუსს, რომლის გახსნა უკავშირდება წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის დაწყებას, 14 აგვისტოს რომ იწყება ამ ქალაქში. მაშინვე თვალში გეცემათ, რომ მთელი ფოთი ამ დიდი სპორტული დღესასწაულის მოლოდინით ცხოვრობს.

ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ კი აქედან საგანგებო ცნობები მოდიოდა. ევროპის ჩემპიონატის გამართვა ჩაშლის ზღვარზეა, ობიექტების მშენებლობა გაჭიანურდა და, ალბათ, დროზე ვერ მოხერხდება მათი დასრულებაო. საქმე ის არის, რომ თავიდანვე ამ იდეას, რომელიც ორი წლის წინათ ჩაისახა, მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. რესპუბლიკის წინანდელ ხელმძღვანელობაში ზოგს არ სურდა ზედმეტი საზრუნავი ეტვირთა, და თუ ხელს არ უშლიდა ამ ყოველივეს, არც არაფრით ეხმარებოდა. ისეთებიც კი გამოჩნდნენ, რომლებიც ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიდნენ. ამიტომ მშენებლობა აქ მიმდინარეობდა სტიქიურად, უსისტემოდ, და საეჭვო გახდა ჩემპიონატის გამართვა. ამას შეიძლება მოჰყოლოდა არა მარტო დიდი ჯარიმა ვალუტით, არამედ უწინარეს ყოვლისა, ეს ყოველივე შელახავდა რესპუბლიკის პრესტიჟს. მაშინ, როცა მკაცრ საზღვარგარეთელ ექსპერტებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ მალთაყვის ტყეპარკში „ოქროს ტბაზე" მდებარე წყალსათხილამურო ბაზის პირობები ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, ჩვენთან ამას ან ვერ ამჩნევდნენ, ან არ სურდათ შემჩნევა. ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ექსტრემალური სიტუაცია.

ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. კომპლექსის მშენებლობას კონტროლი დაუწესა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ. მისი თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს, არაერთგზის ჩასულა ფოთში, შეისწავლა საქმის ვითარება. ორ თვეზე ნაკლებ დროში შესრულდა უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები.

ვესაუბრებით საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტს რომან მელიას. მისი წყალობით დამკვიდრდა ფოთში სპორტის ეს სახეობა, მისი ძალისხმევით მიიღო რესპუბლიკამ ჩემპიონატის გამართვის უფლება. იმის მიუხედავად, რომ დილაადრიანი იყო, მან უკვე გადაწყვიტა რამდენიმე ორგანიზაციული საკითხი და ობიექტების დათვალიერებას აპირებდა, და მაინც, ჩვენთან სასაუბრო დრო გამოძებნა.

— ყოველივე ის, რაც დღეს ფოთში ხდება, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ ძნელი წარმოსადგენიც კი იყო, — თქვა რომან მელიამ. — ჩვენი მთავრობის მხარდაჭერით მთელი რესპუბლიკიდან გამოგზავნეს მშენებლები, საუკეთესო სპეციალისტები. ქალაქის ხელმძღვანელების მთელი ძალისხმევაც ასევე მიზნად ისახავს ჩემპიონატის წარმატებით გამართვას. რაც მთავარია, ხალხმა დაინახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მოვლენა, და კეთილსინდისიერად შრომობენ. ახლა გაჩნდა იმის რწმენა, რომ საერთო ძალებით თავს გავართმევთ ძალზე რთულ და პასუხსაგებ ამოცანას.

— რა გაწუხებთ ახლა ყველაზე მეტად?

— მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ახლა მთავარია საჭირო კომფორტი შევუქმნათ ჩემპიონატის მონაწილეებს. წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია ძალზე მომთხოვნია ამ საკითხში. სხვათა შორის, იგი დიდად გვეხმარება. კერძოდ, ევროპის კონფედერაცია დაგვეხმარა შეგვეძინა ასეთი რანგის ასპარეზობისთვის საჭირო ტექნიკა, ელექტრონული აპარატურით დაწყებული და ტრამპლინებით დამთავრებული. ორ კატარღას კი ამერიკის ფირმა „სუპრა" გამოგვიგზავნის, რომელიც ჩემპიონატის სპონსორია. მთელი მოწყობილობა ახლა გზაშია და ამ დღეებში მივიღებთ. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იგი ჩვენ დაგვრჩება, რაც საშუალებას მოგვცემს შემდგომშიც სისტემატურად მოვაწყოთ ფოთში დიდი საერთაშორისო ასპარეზობანი.

— თუ შეიძლება, განმარტეთ, რატომ უწოდებენ მომავალ ჩემპიონატს მეორე ჯგუფის ჩემპიონატსაც?

— წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია შედგება სამი რეგიონალური კონფედერაციისაგან. პირველში შედიან ამერიკის კონტინენტის ქვეყნები, მეორეში — ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, მესამეში — აზიის სახელმწიფოები. ამ სამი კონფედერაციის ხელმძღვანელები ქმნიან საერთაშორისო ფედერაციას, რომელსაც ევროპის კავშირის პრეზიდენტი მეთაურობს. სწორედ მისი ეგიდით იმართება ჩვენი ჩემპიონატიც. მსოფლიო ჩემპიონატები კი ეწყობა სამივე რეგიონალური კონფედერაციის მეცადინეობით.

— კი, მაგრამ როგორ აღიქვა საკავშირო ფედერაციამ ის, რომ ევროპის ჩემპიონატი საქართველოში გაიმართება?

— იგი ძალზე გვიჭერდა მხარს ამ საქმეში. რაც შეეხება ჩვენს მომავალ ურთიერთობას, ეს საკითხი გადავდეთ ტაქტიკური მოსაზრებების გამო, და მას წამოვჭრით ჩემპიონატის დასრულების შემდეგ.

— როგორი იქნება ქართველ სპორტსმენთა სტატუსი ამ ჩემპიონატზე?

— საქართველოს ნაკრები გამოვა ცალკე გუნდად, ეროვნული დროშით. ეს საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ ჩემპიონატის დაწყების წინ გაირკვევა, იქ როგორ იასპარეზებს იგი, როგორც სრულუფლებიანი მონაწილე, თუ უკონკურსოდ. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ ხათუნა კორკელია, გენადი გურალია და ჩვენი ქართველი ბულგარელი ვასილ ბუდუროვი.

— რომელი ქვეყნების წარმომადგენლები ჩამოვლენ ფოთში?

— იანვარში ვმონაწილეობდი სტოკჰოლმში ევროპის კონგრესის მუშაობაში, სადაც განაცხადი წარმოადგინა 18 ქვეყანამ. დღეს 15 ქვეყანამ დაადასტურა თავისი განაცხადი. ესენი არიან საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, შვეცია, დანია, ჰოლანდია, ნორვეგია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და სსრ კავშირი. იმედი გვაქვს, რომ ეს სია გაიზრდება. ცნობილი გახდა, რომ ჩამოსვლა სურთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებსაც.

— რა ჯდება ასეთი ჩემპიონატის გამართვა?

— წყლის თხილამურები სპორტის ელიტური სახეობაა და დიდ ხარჯებს მოითხოვს. გამოგვიჯდება ოცი მილიონ მანეთზე მეტი. მაგრამ ამ ხარჯების ანაზღაურება რამდენიმე წელიწადში შეიძლება, თუ რაციონალურად გამოვიყენებთ ბაზას, შევქმნით მაღალი დონის სერვისს და მოვიწვევთ წყლის თხილამურების მოყვარულებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

საუბრის დასასრულს რომან მელიამ გვითხრა, რომ ჩემპიონატი გაიხსნება 14 აგვისტოს ღამით ლამაზი ცერემონიით — მცურავ სცენაზე. სცენარს ამუშავებენ რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში, მთავარი დამდგმელი რეჟისორია ლევან მირცხულავა. ჩემპიონატის გადაცემის უფლება კი რუსეთის ტელევიზიამ შეისყიდა.

მომდევნო შეხვედრა გვქონდა ფოთის პრეფექტთან თენგიზ ბარამიძესთან.

— ჩვენს ქალაქს დიდი პატივი ხვდა წილად, — თქვა მან, — მართალია ფოთელთა შორის ჩემპიონატს არ ჰყავდა მოწინააღმდეგეები, მაგრამ ზოგიერთები მაინც გვირჩევდნენ, თავი შეგვეკავებინა დიდი ხარჯებისგან, მით უმეტეს, რომ ახლა რესპუბლიკა რთულ ვითარებაშია, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ბლოკადითა და სტიქიური უბედურებებით. მაგრამ ჩემპიონატის გამართვაზე უარის თქმის ყველა გზა ამოიწურა, და გადავწყვიტეთ, რომ ჩემპიონატს გავმართავთ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით ხალხი ახლა დღედაღამ მუშაობს. ძალზე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს და განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილეს თამაზ ვაშაძეს და „საქსამოქალაქომრეწვმშენის" გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ნოდარ ამაშუკელს, მათ მთელი სული და გული ჩააქსოვეს სამუშაოში. თუმცა, ამაში თვითონ დარწმუნდებით...

მალთაყვის ტყეპარკის თითქმის მთელი ტერიტორია უზარმაზარ სამშენებლო მოედნად იქცა. „აიას". წყალსათხილამურო კლუბის გვერდით, რომლიდანაც 6 წლის წინათ დაიწყო კომპლექსის ისტორია, აშენდა 1500-ადგილიანი ტრიბუნა, რომელსაც აქვს სასამსახურო სათავსები. მის უკან მდებარეობს სპორტული დარბაზი კალათბურთის მოედნით, დახურული 25-მეტრიანი საცურაო აუზი, რომელსაც აქვს ყველა საჭირო სამსახური. ოდნავ მოშორებით მდებარეობს ორი სასტუმრო, — 50 და 250 დამსვენებლისათვის გათვალისწინებული კვების ბლოკი, კოტეჯები. სწორედ აქ კიდევ დარჩათ სამუშაო მშენებლებს. საცალფეხო ხიდით შეიძლება არხის მეორე ნაპირზე გადასვლა, სადაც არის პლაჟი, იერარიუმი, კეგელბანი, გოლფის მოედნები. ზედ წყლისპირას კი შენდება ტაბლო, რომლის ზომაა 26X36 მეტრი.

ნოდარ ამაშუკელი ვნახეთ აუზის შენობის ვესტიბიულში, მის „ოფისში" სამუშაო თათბირის დროს. იქ განიხილავდნენ დღის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებს.

— შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობის პიკი გავლილია — თქვა მან, — ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ აქ 1500 კაცი მუშაობდა, ახლა მათი რიცხვი სამასით შემცირდა. ძირითადად მოსაპირკეთებელი სამუშაოები დარჩა, ყველაზე მეტი საქმე დიდ სასტუმროშია გასაკეთებელი. მაგრამ ყველაზე რთული უკვე განვლილია. ძირითადი სამუშაოები 25 ივლისისათვის დასრულდება. შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში აღმოვფხვრით წვრილმან ხარვეზებს. შევამოწმებთ ყველა კომუნიკაციას. ასე რომ, იმედი გვაქვს, კომპლექსს დროულად ჩავაბარებთ.

შალვა შალოლაშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

●

სურათებზე: ახალი ბოგა მალთაყვის ტყეპარკში; მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები; ახალი ელექტრონული ტაბლო.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ აიაზ მუთალიბოვს

პატივცემულო აიაზ ნიაზის ძევ!

მადლობას მოგახსენებთ ესოდენ გულთბილი წერილისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში თავაზიანი მიწვევისათვის, რითაც მე აუცილებლად ვისარგებლებ უახლოეს ხანს.

გარწმუნებთ, რომ ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც აზერბაიჯანელმა ხალხმაც, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება აღიქვა დიდი ენთუზიაზმით და იმის იმედით, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკებს შორის ტრადიციული ძმობის განმტკიცებას და მთლიანად ჩვენს რეგიონში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვუსურვებ აზერბაიჯანელ ხალხს ყოველივე საუკეთესოს, ბედნიერებას, მშვიდობასა და აყვავებას.

პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი.
1991 წლის 22 ივლისი.

საქართველოს პრეზიდენტი მესტიაში

როგორც ცნობილია, ამ დღეებში საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა მესტიის რაიონში. გადაკეტილი იყო ხაიშ-მესტიის ცენტრალური გზა, დაირღვა შრომის რიტმი და ერთგვარი დაძაბულობა შეინიშნებოდა რაიონის მოსახლეობაში. საქინფორმის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მესტიის რაიონის პრეფექტს ქალბატონ ციალა გულედანს, რომელმაც გვაცნობა:

აქციის მონაწილენი თხოულობდნენ არჩევნების გადადებას, რაიონიდან ხე-ტყის გატანისა და რეალიზაციის ნებართვას, რაც უშუალოდ კორუმპირებულ პირთა უკანონო მოთხოვნაა. წინა წლებში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩანაგდებოდა ამ კუთხის ბუნებრივი სიმდიდრე, გამკითხავი კი არავინ ჩანდა. ახლა, როცა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა და სიმართლე გზას იკვლევს, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე აღარ უნდა განიავდეს. და როცა ეს აღვკვეთეთ, სწორედ მაშინ დაგვიპირისპირდნენ ამ აქციით კორუმპირებული ადამიანები. აღსანიშნავია რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც არ დარჩენილა მესტიის რაიონის გასაჭირი საქართველოს პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ყურადღების გარეშე. მიმდინარე წლის 20 ივლისს ბატონი პრეზიდენტი მესტიას ეწვია და აქციის მონაწილეებს შეხვდა. გაიმართა გულახდილი, კონსტრუქციული დიალოგი.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აქციის მონაწილეები დაარწმუნა, რომ მათი მოქმედება მცდარი იყო, რის შედეგად აქცია შეწყდა. ამჟამად რაიონში აღდგა შრომის ჩვეულებრივი რიტმი და სრული სტაბილურობა.

საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მესტიაში ახლდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და სხვა ოფიციალური პირნი.

საქინფორმი.

საკუთარ სახლში

მოწოდება მშვიდობისა და კეთილდღეობისაკენ

მალამოსავით მოედო ყოველი პატიოსანი კაცის გულს გაზეთ „აფხაზეთის ხმის" პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მიმართვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს წევრების, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბასადმი.

მას ხელს აწერენ გ. შერვაშიძე — აფხაზეთის სათავადაზნაურო კრების თავმჯდომარე, დ. მარშანია — თავმჯდომარის მოადგილე, დ. ემუხვარი, დ. ანჩაბაძე, დ. ჩიაშიფა, გ. მარღანია — გამგეობის წევრები.

აფხაზეთის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორია, — ნათქვამია დოკუმენტში, — წარმოადგენს აფხაზი და ქართველი ხალხების ნათესაობის და ძმობის მკაფიო დადასტურებას, ხალხებისა, რომლებიც განუყოფელი არიან თავიანთი ეთიკური ნორმებით, პრინციპებით, საუკუნეების სიღრმეში ფესვგადგმული ტრადიციებით, ათასწლოვანი ნათესაური კავშირებით. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ უკანასკნელ ათწლეულებში წამოიჭრა უთანხმოებანი, მაგრამ მათი თითქოსდა ხალხებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით ახსნა იქნებოდა დიდი შეცდომა. ყველა უთანხმოება სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობის იმ ლიდერებს შორის კონიუნქტურული ბრძოლის შედეგია, რომლებმაც შეძლეს თავს მოეხვიათ ხალხისათვის თავიანთი იდეები და გაესაღებინათ ისინი ხალხთა ფართო მასების სასოებად და მისწრაფებად. თუ სადამდე მიგვიყვანა ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა ქმედებამ, მათმა უპრინციპო პოლიტიკურმა თამაშმა, ცნობილია: ეს არის 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენები. ყოველი დანაშაული, ულმობლად მოტყუებული ადამიანის სიცოცხლე და სისხლი წარუხოცელ ლაქად აზის იმ ზოგიერთი პოლიტიკანის სინდისს, ვინც ყალბი ფაქტებითა და იდეებით მანიპულირებს, თამაშობს ადამიანთა ყველაზე იდუმალი, პატრიოტული გრძნობებით.

ჩვენ მოგიწოდებთ ყური მიუგდოთ საკუთარი გულის ხმას, გონიერებას მანამ, სანამ გადავწყვეტდეთ ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთ საბედისწერო საკითხს, როგორიცაა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. საკითხს — იქნება თუ არა მშვიდობა და კეთილდღეობა ჩვენს მიწაზე.

ხომ არ წარმოადგენს ეგრეთწოდებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ერთნაირი საუკუნისწინათ დატრიალებული უბედურების — მუჰაჯირობის — განმეორებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი მომზადებული იყო თურქეთის იმპერიის მიერ რუსეთის ცარიზმის მხარდაჭერით და ზოგიერთი აფხაზი ფეოდალის მონაწილეობით, ხოლო დღეს მეორეს ახდენს დღედათვლილი კომუნისტური იმპერია ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის მხარდაჭერით. მაშ, როგორ მოვიქცეთ, როგორ მოვეკიდოთ ხალხის ისტორიას, მის კულტურას, ტრადიციებს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს? როგორ ავუხსნათ ეს ყოველივე ჩვენს მომავალ თაობებს?

ხომ უდავო ფაქტია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოებრიობის არსებობა, რომელიც აერთიანებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილით — აფხაზეთით. ამის დადასტურებაა მრავალრიცხოვანი ფუნდამენტური შრომები როგორც აფხაზი, ისე ქართველი ისტორიკოსებისა.

მაგრამ აქაც მოიპოვებიან ცრუისტორიკოსები, რომლებიც მანიპულირებენ ჩვენი წარსულით, ჩვენი კულტურით, მათ მიერვე შეკოწიწებული პოლიტიკური ვითარების მიხედვით. ისტორია — ჩვენი წარსულია, ჩვენი კულტურაა, რომელზეც აგებულია აწმყო, დღევანდელი რეალობა.

განა შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმის ხმის მიმცემთა სიიდან ამოღებულ იქნა გალის რაიონი — აფხაზეთის განუყოფელი ნაწილი, მისი 52 ათასი ხმის მიცემის უფლებიანი მოსახლეობით და ასეთი რეფერენდუმის განსჯა — როგორც აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობის ნების გამოხატვა? უნდა გვახსოვდეს — არავის არა აქვს უფლება გადათელოს ჩვენი წინაპრების სამშობლო, თქვენთან ერთად ჩვენი სამშობლოც ხომ არის, სამშობლო — წარსულსა და აწმყოში, და მომავალშიც, უცვლელი რჩება. და ეს უდავოდ ხალხის ჭეშმარიტი სურვილია.

ჩვენ, აფხაზეთის სათავადაზნაურო კრების მონაწილეებს — იმ ადამიანთა ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს, შვილიშვილებს და ბადიშიშვილებს, ვინც არც ისე ცოტა მკაფიო ფურცელი ჩაწერა ჩვენი მამულის ისტორიაში, გვინდა გვჯეროდეს თქვენი გადაწყვეტილების სიბრძნისა, გვჯეროდეს იმისა, რომ თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ დაამახინჯებს ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ლოგიკურ განვითარებას, იქნება ჩვენს მიწაზე კეთილი ტრადიციების აღდგენისა და განმტკიცების საწინდარი.

თენგიზ ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

„გადავარჩინოთ შავი ზღვა"

როგორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 13-14 ივლისს ქ. ბათუმში საქართველოს მწვანეთა ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „გადავარჩინოთ შავი ზღვა".

კონფერენციაზე შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანაში მოეწყოს ზღვის სანაპიროს დასუფთავება. უკრაინის მწვანეთა პარტიის ინიციატივით შეიქმნა 1992 წლის ფართომასშტაბიანი მწვანეთა აქციის მოსამზადებელი საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი, თურქეთის მწვანეთა პარტიის წინადადებით თურქეთში გამოუშვებენ საგანგებო საერთაშორისო გაზეთს, რომელიც შავი ზღვის პრობლემებს მიეძღვნება.

კონფერენციაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი, რომ დღეს ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა განხორციელდეს შავი ზღვის სრული დემილიტარიზაცია, გაიტანონ საბჭოთა კავშირისა და ნატოს სამხედრო ბაზები. დღეს, შავი ზღვის სახელმწიფოებში არსებული ტოტალიტარული რეჟიმების დემონტაჟის შემდეგ, იმის ისტორიული შანსი გვაქვს, რომ ჩვენი საერთო ზღვა მშვიდობისა და თანამშრომლობის, ეკოლოგიური უსაფრთხოების ზონად იქცეს.

კონფერენციამ გამოიწვია საერთაშორისო გარემოს დაცვითი ორგანიზაციების, მრავალი ქვეყნის მწვანეთა პარტიების დიდი ინტერესი.

მეტად დადებითად შეაფასეს ინტერესი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება იჩენს შავი ზღვის პრობლემათა მოგვარებისადმი, რაც გამოიხატა იმითაც, რომ კონფერენციას მიესალმა რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და კონფერენციის მოწყობასთან დაკავშირებული თანხები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაფარა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ, შავი ზღვის პრობლემებისადმი მიძღვნილი ბათუმის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი, უკიდურეს შეშფოთებას გამოვთქვამთ შავ ზღვაზე შექმნილი უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობით. არსებული ვითარება საჭიროებს გადამჭრელი ზომების მიღებას დაუყოვნებლივ. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია:

1. შავი ზღვა გამოცხადდეს ეკოლოგიური კრიზისის ზონად: შეიქმნას საერთაშორისო კომისია გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებს შავი ზღვის გადარჩენის საერთაშორისო პროგრამას.
2. ერთი წლის განმავლობაში დაიდოს შავი ზღვის გარემოს დაცვის, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის საერთაშორისო კონვენცია, რომელსაც ხელს მოაწერენ თურქეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბულგარეთი და რუმინეთი.
3. განისაზღვროს დუნაისპირა ქვეყნების პასუხისმგებლობა შავ ზღვაზე შექმნილი მძიმე ეკოლოგიური ვითარებისათვის და შესაბამისად განისაზღვროს მათი მონაწილეობა შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო კონვენციაში, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამებში.
4. დაუყოვნებლივ დაიწყოს შავი ზღვის მთელი სანაპირო ზოლის ეკოლოგიური პასპორტიზაცია, დადგინდეს გაჭუჭყიანების დონე და გამოიყოს ეკოლოგიურად კონფლიქტური ზონები. მოხდეს ზღვის გაჭუჭყიანების არსებული ზღვრული ნორმების გადასინჯვა თანამედროვე მონაცემებისა და მეთოდიკების გათვალისწინებით.
5. მოხდეს ტრანსსასაზღვრო გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ინვენტარიზაცია. ამ ნივთიერებათა ტრანსპორტირებას დაუწესდეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლი.
6. შეიქმნას ერთობლივი ეკოლოგიურ-გეოფიზიკური მონიტორინგის სისტემა ექსპერიმენტული დაკვირვებისა და მათემატიკური მოდელირების სინთეზის საფუძველზე. მოხდეს ეკოლოგიური და სხვაგვარი ინფორმაციის შეუფერხებელი გაცვლა, რისთვისაც შავიზღვისპირა ქალაქებში, შავიზღვისპირა ქვეყნების დედაქალაქებში შეიქმნას შესაბამისი ცენტრები. ფართოდ განვითარდეს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა.
7. შავი ზღვა გამოცხადდეს უბირთვო ზონად, შავიზღვისპირეთის მთელ სანაპირო ზოლზე განხორციელდეს საბჭოთა კავშირისა და ნატოს სამხედრო ბაზების დემონტაჟი. განხორციელდეს არსებული სამხედრო ობიექტების თანმიმდევრული კონვერსია.
8. დაწესდეს სანაოსნო საშუალებებით მუდმივი მორიგეობა ზღვაში, რისთვისაც თითოეულმა ქვეყანამ გამოყოს სულ ცოტა ერთი გემი — შეიქმნას საერთაშორისო ეკოლოგიური პატრული.
9. ყოველი წლის აპრილის პირველი კვირა და ნოემბრის ბოლო კვირა გამოცხადდეს შავი ზღვის სანაპიროს დასუფთავების დღედ.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ აქტიურობას, რომელსაც შავი ზღვის პრობლემებთან დაკავშირებით იჩენენ თურქეთის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი და საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, თუმცა, ჩვენი აზრით, დროა კონკრეტულ მოქმედებაზე გადავიდეთ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნების მთავრობათა გარდა მოსახლეობასაც აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა არსებულ პრობლემათა გადაჭრაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ შავიზღვისპირეთის მწვანეთა თანამშრომლობის განვითარებას არა მხოლოდ ერთობლივი ეკოლოგიური თუ ანტიმილიტარისტული კამპანიების წარმართვისათვის, არამედ ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული და ეკონომიკური კონტაქტების განმტკიცებისთვისაც. ამდენად ჩვენ ვთანხმდებით სამომავლოდაც გავაგრძელოთ ერთობლივი შეხვედრები, განვახორციელოთ ერთიანი კულტურული, ეკოლოგიური თუ სხვა ინიციატივები.

საქინფორმი.

ინტერვიუ

გადაწყვეტილება უკანონოა…

ანუ პროფკავშირების ქონების გასხვისებას ვერ შევურიგდებით

საქართველოს რესპუბლიკის პროფკავშირებში მიმდინარე პროცესებზე, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სფეროებს შორის შრომითი რესურსების დაუსაქმებელი ნაწილის გადანაწილების აუცილებლობაზე, კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებასა და სწავლებაზე, მუშამოსამსახურეთა ინტერესების, მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფაზე გვესაუბრება საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი ზურაბ ხონელიძე.

— ბატონო ზურაბ, ბევრი დაიწერა, ბევრიც ითქვა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის შესახებ; საზოგადოების აზრი ამ ინსტიტუტის მიმართ მრავალგვაროვანია, როგორია თქვენი მოსაზრება?

— სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არც არსებულ მინისტრთა საბჭოს და არც საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციას არ ქონდა არავითარი უფლება შეექმნა ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი.

გაუგებარია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის № 131/43 არაკომპეტენტური წერილი, (ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე), სადაც ნათქვამია, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის შექმნას არ სჭირდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება და რომ ინსტიტუტის შექმნისა და მისი წესდების რეგისტრაციაში გატარების უფლება აქვს თვით საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციას. რატომღაც იგი იქცა იმ ერთადერთ დოკუმენტად, რომელმაც პროფკავშირების კონფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელობას და გამგეობას მისცა უფლება, შეექმნა სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი და რეგისტრაციაში გაეტარებინა იგი.

საშური ოპერატიულობით, უკვე 20 ნოემბერს პროფკავშირების კონფედერაციის № 7-2შ დადგენილებით საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის საორგანიზაციო ჯგუფისა (შ. პაპიძე) და პროფკავშირების სასწავლო, სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის (თბილისის ზღვა) და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე (ცხაკაიას ქ. № 8) გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი (სრულ სამეურნეო ანგარიშზე), უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით, როგორც ცენტრის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და დამტკიცდა ინსტიტუტის წესდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინსტიტუტის შექმნაზე საერთოდ არ უმსჯელია კონფედერაციის გამგეობის სხდომას, დადგენილება მიღებული იქნა შემოვლის წესით, ხელს აწერს გამგეობის მხოლოდ 17 წევრი. ერთი რამ ფაქტია, ინსტიტუტში მიღება განხორციელდა დაარსებისთანავე, ნოემბრის თვეში მოქმედ კანონმდებლობის უხეში დარღვევით. 4 ფაკულტეტზე გათვალისწინებული იყო 350 სტუდენტის ჩარიცხვა. ფაქტობრივად მიღებული იქნა 476 სტუდენტი; სასწავლო გეგმით გათვალისწინებულზე 126-ით მეტი. საფუძველი იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება. აღნიშნულის შესახებ არ უმსჯელია კონფედერაციის გამგეობას, რომელიც წარმოადგენდა მის უკანონო დამაარსებელს; თუმცა კანონმდებლობით, არც მას ჰქონდა საკითხის გადაწყვეტის უფლება; ინსტიტუტში მიღებისას დარღვეულია აგრეთვე ასაკობრივი ცენზიც, რაც მთელ რიგ ეჭვსა და გაუგებრობას ბადებს. ზოგიერთი ახალგაზრდა ჩარიცხულია იმ მოსაზრებით, თითქოსდა იმპერიულ ჯარში უარი თქვა სამსახურზე, რაც აბსურდულია.

საერთოდ ამ პროფილის ინსტიტუტი ჩვენ არ გვჭირდებოდა. დღეს მას პროფკავშირებთან არავითარი კავშირი არა აქვს; ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფკავშირები უარს ამბობს უმაღლეს სასწავლებელზე. გამგეობამ რამდენიმე დღის წინ იმსჯელა ახალი ინსტიტუტის შექმნაზე და ფაქტობრივად ყველა დოკუმენტაცია მზადაა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წარსადგენად; საქართველოს ვთავაზობთ ახალი ტიპის უმაღლეს სასწავლებელს, რომლის წესდება, პროგრამა, დებულება შევუჯერეთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებს. ამასთან ვითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ ყველა გარემოებას, მის სპეციფიკას, მოთხოვნილებას კვალიფიციურ კადრებზე. დეტალურად ამ უმაღლესი სასწავლებლის პრობლემებზე ურიგო არ იქნება ესაუბროთ მის ახლად დანიშნულ რექტორს, ყველასათვის პატივსაცემ პიროვნებას პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძეს.

— საბაზრო ეკონომიკისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე გადასვლის პირობებში, როგორც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, უნდა ვივარაუდოთ რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაო ადგილების გარკვეული რაოდენობის შემცირებასთან ერთად მოსახლეობის დიდი ნაწილის უმუშევრობაც, რაც გამოიწვევს როგორც მწარმოებლური სფეროს დარგებში, ასევე მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სფეროებს შორის შრომითი რესურსების დაუსაქმებელი ნაწილის გადანაწილების აუცილებლობას. რა როლს თამაშობს ამ საქმეში პროფკავშირები?

— პირდაპირ უნდა გითხრათ, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში დიდ მნიშვნელობას იძენს პროფკავშირების მიზანდასახული საქმიანობა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვასთან ერთად მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების, მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით დაუსაქმებელი მუშაკების პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

ცენტრის მიერ ათეული წლების განმავლობაში გატარებულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების მიმართ, სახელმწიფო მართვის აპარატის არაეფექტიანი და ხშირ შემთხვევაში გაუმართლებლად გაბერილი სტრუქტურების არსებობამ, ფაქტობრივად სოფლიდან ქალაქში და ძირითადად დედაქალაქში მოსახლეობის დიდი ნაკადის საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოსვლამ შექმნა ისეთი ვითარება, რომ დღეს ვდგევართ უმუშევრობის რეალური საშიშროების წინაშე, მისი მასშტაბები იზრდება და პროგნოზებით 1991 წლის ბოლოსათვის მიაღწევს 200.000 უმუშევარს, რაც მოითხოვს მთავრობის მხრიდან დასაქმების სფეროში გარანტიების უზრუნველყოფის ღონისძიებათა დროულად გატარების აუცილებლობას.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში არსებობს კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ისეთი სისტემა, როგორიცაა პროფესიულ-ტექნიკური განათლება. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში ხორციელდება ახალგაზრდების არასრული საშუალო და სრული საშუალო სკოლის ბაზაზე პროფესიული მომზადება. შექმნილ ვითარებაში აღნიშნულმა სასწავლო დაწესებულებებმა რეგიონების მიხედვით უნდა შეასრულონ ფუნქცია გამონთავისუფლებული მოსახლეობის მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხების მოგვარებისა, ვინაიდან პარალელური სტრუქტურების და ბაზების შექმნას დასჭირდება უამრავი დრო, მრავალმილიონიანი კაპიტალური დაბანდებანი, რაც დღეს საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნია.

— ბატონო ზურაბ, დასამალი არ არის, აქამდე პროფკავშირების საქმიანობა პროფესიული კადრების მომზადების საქმეში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

— მართალი ბრძანდებით, მიუხედავად არაერთი დადგენილებისა, ფაქტობრივად ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების საკითხებს არ ექცეოდა არავითარი ყურადღება. ეს მაშინ, როდესაც მოუგვარებელია ახალგაზრდების საწარმოო პრაქტიკის, შრომის დაცვის საკითხები. შესაბამისი პირობების დაუცველობის გამო, როგორც სასწავლებლის სასწავლო სახელოსნოებში, აგრეთვე საბაზრო ორგანიზაციებში ხშირი იყო ტრავმატიზმის შემთხვევები, ნაკლები ყურადღება ექცეოდა კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციას, რის გამოც დაბალია მათი დამაგრება წარმოებებში; ხშირ შემთხვევებში სუსტია სასწავლო-საწარმოო ბაზები თანამედროვე ჩარხ-დანადგარების უზრუნველყოფის მხრივ; აღნიშნული და ბევრი სხვა საკითხების მოგვარებაში თითქმის არ ჩანდა პროფკავშირების როლი.

ამჟამად ჩვენ შემუშავებული გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც გულისხმობს როგორც ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისათვის, ასევე გამონთავისუფლებული მოსახლეობის მომზადება-გადამზადებისათვის და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და სხვა აუცილებელი საკითხების მოგვარებას. ჩვენ გავხდებით პროფკავშირების დანიშნულებიდან გამომდინარე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების პარტნიორები.

— თქვენ გვესაუბრეთ მოსახლეობის პროფესიულ მომზადებაზე, მათ სოციალურ გარანტიებზე, ქვეყანაში მოახლოებულ და ფაქტობრივად უკვე არსებულ უმუშევრობაზე და არ შეეხეთ, თუ რა მიგაჩნიათ საჭიროდ განხორციელდეს, რათა მომზადებული შევხვდეთ ამ პრობლემებს.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, განათლების სამინისტროს შესაბამისი სპეციალისტების მიერ, უკვე თითქმის ერთი წელია შემუშავებულია და რესპუბლიკის მთავრობაში წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მართვის შემდგომი სრულყოფის და განვითარების ღონისძიებების შესახებ", სადაც ჩამოყალიბებულია ზემოთ ხსენებული პრობლემების მოგვარების მწყობრი სისტემა. აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების დეპარტამენტის შექმნას. ამ დადგენილებამ გაიარა აპრობაცია შესაბამის დაინტერესებულ სამინისტროებში. მიღებულია რესპუბლიკის მთავრობის მიერ ამ მხრივ დადებითი დასკვნები ფინანსთა, ეკონომიკის, მრეწველობის, იუსტიციის სამინისტროებიდან, საკითხი განიხილა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურის და მეცნიერების მუდმივმა კომისიამ და მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება ზემოთ ხსენებული დეპარტამენტის შექმნის აუცილებლობაზე. ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ ამ პოზიციას და ვთვლით, რომ რესპუბლიკაში უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ძლიერი უწყება, რომელსაც დაეკისრება მთელი ერისათვის საჭირო, დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება-გადაწყვეტა.

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით რას ფიქრობენ საქართველოს პროფკავშირები მშრომელთა სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაცვის თაობაზე?

— სამწუხაროდ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური ვითარება ხასიათდება სერიოზული სირთულეებით, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის ეკონომიკური კრიზისის შემდგომი გაღრმავებით, იგი ბუნებრივია იწვევს მშრომელთა და მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალური პირობების რეალურ გაუარესებას, სოციალური დაძაბულობის შემდგომ ზრდას.

რაც მთავარია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს შრომის ბაზრის წარმოშობა, უმუშევრობის დიდი მასშტაბები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხვის ზრდა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სიღარიბის ზღვარზეა. მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 2 აპრილიდან მოხდა საქონლის ფასების კატასტროფული ზრდა, გაძლიერდა ფულის ინფლაცია.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები მშრომელთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის მიზნით. ყოფილი შრომის და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტიდან ერთობლივი მუშაობით ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში შემუშავებული იქნა რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების კანონის პროექტი და წარედგინა უზენაეს საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. როგორც ცნობილია, შემდგომში იგი კიდევ გადამუშავდა, მაგრამ მისი საბოლოო განხილვა და მიღება იგვიანებს, რაც არასასურველია და ერთობ გაუგებარია.

რომ არაფერი ვთქვათ მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში უკვე მიღებულია და 1 ივლისიდან მოქმედებაშია მოსახლეობის დასაქმების კანონი, მიმდინარეობს როგორც უმუშევართა, ასევე მუშაობის დაწყების მსურველთა რეგისტრაცია და მათზე გაიცემა კანონით განსაზღვრული ფულადი დახმარება. ეს ბუნებრივიცაა, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში შრომისუნარიან მოქალაქეს ან შესაფერისი სამუშაო უნდა მიეცეს, ან დაენიშნოს შესაბამისი ფულადი დახმარება დასაქმების სახელმწიფო ფონდიდან მუშაობის დაწყებამდე.

კონფედერაციის მიერ მომზადდა რესპუბლიკის მთავრობასა და დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციას შორის 1991 წლისათვის ხელშეკრულების პროექტი, რომელშიაც ფართოდაა ასახული მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების მინიმუმი, რაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას შესაძლო ნეგატიური სოციალური მოვლენების შესუსტების მიზნით, მაგრამ მთავრობამ სხვადასხვა მოსაზრებით თავი შეიკავა აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერაზე.

— ალბათ დღეს განსაკუთრებით უნდა გააძლიეროთ პროფკავშირების პასუხისმგებლობა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვის სფეროში, რაც მოითხოვს პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურებას სოციალური საკითხების გადაჭრაში. თქვენ რას ფიქრობთ ამ მიმართებით?

— პირველ რიგში საჭიროა დაჩქარდეს რესპუბლიკის პარლამენტში მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო პროგრამის მიღება, აგრეთვე მომზადდეს ხელფასის კომპლექსური რეფორმა, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის რეალური ფასიდან გამომდინარე დამტკიცდეს მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი და მის ბაზაზე შემოღებულ იქნას ხელფასის, დახმარების, პენსიების და სტიპენდიების სახელმწიფო მინიმალური და სხვა სოციალური პრობლემების კონსტრუქციული რეალიზაცია.

— ბატონო ზურაბ, თქვენ წინა შეკითხვაზე პასუხის გაცემისას შეეხეთ მთავრობასთან ურთიერთობის საკითხს. არის თუ არა საკითხები ან პრობლემები, რომლებიც თქვენს ურთიერთობას ამწვავებს?

— ამა წლის აპრილის დასაწყისში მოხდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის გამგეობის წევრების შეხვედრა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან ბატონ თ. სიგუასთან. ეს იყო მნიშვნელოვანი და მეტად საჭირო, დროული შეხვედრა, სადაც განხილული იყო ბევრი საჭიროპოროტო საკითხი. ამ შეხვედრის შედეგი გახლავთ ის, რომ პირველად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციას შორის, როგორც აღვნიშნე, მომზადდა შეთანხმების პროექტი 1991 წლისათვის. სამწუხაროდ დღესაც, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს შეთანხმება ხელმოწერილი არ არის, რაც ბუნებრივია ხელს უშლის შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმუხტვას, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი პირობების შექმნას. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ადრეც განვაცხადეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ მზად ვართ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი მთავრობას რესპუბლიკაში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში, მაგრამ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ მთავრობამ ყურად იღოს მშრომელი კაცის ინტერესები და უზრუნველყოს მათი სოციალური დაცვა. მთავრობის და პროფკავშირების შეთანხმების დადება მოხსნიდა დღის წესრიგიდან ამგვარი პრობლემების არსებობას.

ამავე დროს, არის ფაქტები, რომლებიც ჩვენს კანონიერ შეშფოთებას იწვევს. ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობის მხრიდან ხორციელდება პროფესიული კავშირების, რესპუბლიკის ამ უდიდესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრების ხელყოფა, მასთან შეთანხმებისა და მოლაპარაკების გარეშე. მაგალითად, 1991 წლის 10 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო № 479 დადგენილება, რის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის შემადგენლობაში სამშენებლო ფირმა „ლილე" შეყვანილი იქნა საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო გაერთიანებაში. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს პროფკავშირების საკუთრება გადადის სხვა უწყების მფლობელობაში ისე, რომ ამის შესახებ არ არსებობს კონფედერაციის თანხმობა. უფრო მეტიც, აღნიშნული საკითხის თაობაზე ჩვენ საერთოდ არ ვიყავით ინფორმირებული. საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია თვლის რესპუბლიკის მთავრობის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას უკანონოდ და გამოთქვამს მტკიცე პროტესტს.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ფირმა „ლილე" შეიქმნა საქართველოს პროფკავშირების ყოფილ ტრესტ „საქკურორტმშენის" ბაზაზე, რომლის ძირითადი ფონდები შეადგენს 23,3 მილიონ მანეთს და დღესაც საქართველოს პროფკავშირების საკუთრებას წარმოადგენს, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ერთეული არ არის.

დღეს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს ჩვენი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამ მეტად რთულ ეტაპზე, იგი ვერ შეურიგდება პროფკავშირული, ანუ რესპუბლიკის მშრომელთა ქონების ასე უკანონო გასხვისებას, პროფკავშირული საკუთრების დასაცავად ჩვენ გამოვიყენებთ კანონით მინიჭებულ ყველა უფლებას. ჩვენი ეს სამართლიანი პოზიცია მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული და გვჯერა, რომ შეცდომა გამოსწორებული იქნება.

— ბატონო ზურაბ, როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, საქართველოს მთავრობამ შექმნა სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, სადაც გადაეცა პროფკავშირების ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო. როგორ ფიქრობთ, პროფკავშირებიდან ტურიზმის სახელმწიფო სტრუქტურებზე გადაცემამ ხომ არ გაანთავისუფლა პროფკავშირები მისი ერთ-ერთი ტრადიციული ფუნქციიდან, რომელსაც ჰქვია მშრომელთა გაჯანსაღება ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის მეშვეობით?

— აღნიშნული სამინისტროს შექმნასა და მისთვის ტურიზმის გადაცემას ჩვენც დაუჭირეთ მხარი, რადგან მიგვაჩნდა, რომ ამ ეტაპზე ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა გაჯანსაღებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის მეშვეობით, ეს ჩვენი ფუნქციაა და ჩვენს გარდა ამ მხრივ დღეს საქართველოში არავინ არ მუშაობს. სამინისტრო სახელმწიფო ორგანოა, რომელმაც ერთიანი სამთავრობო პოლიტიკა უნდა გაატაროს თავის დარგში, ჩვენ კი გაგვაჩნია ჩვენი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენი", რომლისთვისაც ერის გაჯანსაღება პირველადი ამოცანაა, ხოლო სპორტი — მეორადი, მიუხედავად ამისა, სპორტსაზოგადოება „შევარდენს" მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ეროვნული სპორტის განვითარებაში. მაგალითისათვის დავასახელებდი სეულის ბოლო ოლიმპიურ თამაშებს, სადაც საქართველოს 16 ოლიმპიელიდან 9 პროფკავშირების აღზრდილი სპორტსმენი იყო, ან გასული წლის საქართველოს სპარტაკიადას, სადაც „შევარდენის" სპორტსმენებმა 102 მედლით მეტი მოიპოვეს, ვიდრე დანარჩენმა სპორტსაზოგადოებებმა ერთად აღებულმა. ან ავიღოთ თუნდაც დამოუკიდებელი საქართველოს სახელით სულ ახლახან მოასპარეზე საქართველოს სამბისტთა ტრიუმფალური გამოსვლა ევროპის კონტინენტის ჩემპიონატზე, სადაც 10 ქართველი მოჭიდავიდან არც ერთი უმედლოდ არ დაბრუნებულა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. 10 სპორტსმენიდან 7 სპორტსაზოგადოება „შევარდენის" აღზრდილია.

ასე რომ, პროფკავშირული სპორტსაზოგადოება დიდი და ძლიერი ორგანიზაციაა, იგი აერთიანებს საქართველოს 5000-ზე მეტ პირველად ფიზკულტურულ ორგანიზაციას, სადაც მუშაობს 1500-მდე ფიზკულტურის მეთოდისტი და ინსტრუქტორი, მათ განკარგულებაშია 30 მილიონი მანეთის საბალანსო ღირებულების სპორტული ბაზები და ნაგებობები, 85 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, სადაც ჯანსაღდება 35000 ბავშვი.

ამ დღეებში საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციაში განხილული იქნა სპორტსაზოგადოების წინადადება 1992 წელს სრულიად საქართველოს მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული „შევარდენიადის" ჩატარების შესახებ. იგი წარმოგვიდგენია, როგორც ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი მასობრივი გამაჯანსაღებელი სპორტული ალლუმი, სადაც მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება ყველას.

— და ბოლოს, რა არის თქვენი მოღვაწეობის ამოსავალი, რისთვისაც უშურველად გაიღებდით მსხვერპლს?

— რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ერთგულება და თანადგომა. ვფიქრობ, სწორედ ეს მოგვეთხოვება დღეს ყველას, ვისაც მიზნად თავისუფლება დაგვისახავს.

ესაუბრა
ჯემალ გორდულაძე

პრობლემა

თავისუფალი მეწარმეობა სხვაა და დანაშაული — სხვა

თემა, რომელიც დღევანდელ საგაზეთო წერილში გვსურს გავაშუქოთ, მკითხველისთვის ახალი არ არის. ახლო წარსულში, ხშირად წაიკითხავდით სავატაკო სტატიებს, თუ როგორ ებრძოდნენ მილიციის მუშაკები სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს. სხვადასხვა ჩინისა თუ რანგის მუშაკები ცდილობდნენ ამგვარი საგაზეთო წერილებით დაერწმუნებინათ მკითხველი, რომ მშვიდად შეიძლება ყოფილიყვნენ, რადგანაც მილიციის მუშაკთა ფხიზელ თვალს არც ერთი სახალხო დოვლათის დამტაცებელი არ გამოეპარებოდა.

დღეს, როდესაც შეიცვალა თვით ცნება „სახელმწიფო ქონება" და იგი მართლაც სახალხო, ეროვნული სიმდიდრე უნდა გახდეს — ყველა პრობლემას ახლებური მიდგომა სჭირდება და ამ წერილშიც ეს აზრია გატარებული.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებს ამჟამად წარმოებაში აქვთ ისეთი სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა ანალიზი თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ სახელმწიფო ქონებისა და სამეურნეო დანაშაულის მასშტაბები ჯერ-ჯერობით არ კლებულობს, ამიტომ შევეცდებით, გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება, თუ როგორ გვესახება ჩვენ — მილიციის თანამშრომლებს — ამ სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების გზები.

ჩემი ღრმა რწმენით ეკონომიკური დანაშაულისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნის თვით რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის იმ პრინციპებით საქმიანობა, როგორც ეს დღეს ხდება.

კერძოდ: საწარმოთა ერთი ნაწილი თავს საარენდო ორგანიზაციად თვლის, მაშინ, როდესაც სანახევროდაც არ არის მისი მუშაობა შესაბამისი კანონით რეგლამენტირებული, ანდა როდესაც რიგი სახელმწიფო ორგანიზაციის ტერიტორიაზე უეცრად აღმოცენდება ხოლმე იმავე პროფილის კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ამავე საწარმოს ძირითადი საშუალებებით, ნედლეულითა და იგივე შრომითი რესურსებით. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში კანონისა და წესების დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მკითხველმა მინდა სწორად გამიგოს, შინაგან საქმეთა სამინისტრო შორს არის იმ აზრისაგან, რომ უარი ვთქვათ თავისუფალ მეწარმეობაზე — პირიქით.

მაგრამ თავისუფალი მეწარმეობა და კომერციული საქმიანობა როდი ნიშნავს კანონიერებისა და ზნეობრიობის შელახვას. არადა, სამწუხაროდ, თავისუფალი მეწარმეობისა და კომერციული საქმიანობის ნიღბით ჩადენილი დანაშაული არცთუ იშვიათია.

როცა სამართალდამცავი ორგანოები ასეთ დანაშაულს აღკვეთენ, გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მილიციასა და პროკურატურას უკიჟინებენ თავისუფალი მეწარმეობისა და კომერციის საქმეებში უხეშ ჩარევას, რაც ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებაა.

მინდა დავარწმუნო მკითხველი, რომ სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ კანონით დაუშვებელი ქმედებების წინააღმდეგ იბრძვიან. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ამასწინათ გამოაშკარავებული დანაშაული:

მიმდინარე წლის მარტში სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემსყიდველი და სარეალიზაციო კოოპერატივის „ბოდბე" მუშაკებმა ნ. ბადაშვილმა, ო. ლაპიაშვილმა და ტ. ლეკიშვილმა ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნიში ჩაიტანეს 542 914 მანეთის ღირებულების 15380 ცალი ნახევარლიტრიანი ბოთლი კონიაკი „ვარციხე" ეტიკეტით და შეეცადნენ მის რეალიზაციას სავაჭრო ქსელის მეშვეობით, მაგრამ ისინი ადგილობრივმა მილიციამ დააკავა და საქონელიც ჩამოერთვა, ვინაიდან დადგინდა, რომ კონიაკი ფალსიფიცირებულია, ასევე არასანქციონირებული წესით იყო შესრულებული ბოთლების დახუფვა და ეტიკეტების დაწებება.

კოოპერატივ „ბოდბეს" თანამშრომლებმა აღიარეს, რომ რუსეთში ჩატანილი სასმელი საქონელგაცვლის გზით მიიღეს მარნეულის საიჯარო აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა „თამარისიდან" ნაყენ „თამარისის" სახით, რომელსაც ეტიკეტი შეუცვალეს.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ კოოპერატივ „ბოდბეს" 1990 წელს ქ. ნაბერეჟნიე ჩელნიში სამჯერ აქვს სარეალიზაციოდ ჩატანილი დიდი რაოდენობით კონიაკი „ვარციხე", მარტო მოსკოვის სავაჭრო ქსელში რეალიზებულია 9740 ბოთლი კონიაკი „არაგვი". ამის გარდა კოოპერატივმა დიდძალი სასმელი საქართველოს რაიონებსა და მის ფარგლებს გარეთაც გაიტანა.

ამჟამად ტარდება დოკუმენტური რევიზია, რომელიც შეამოწმებს კოოპერატივ „ბოდბეს" საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და მის ურთიერთკავშირებს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებთან. განა ვინმესთვის საეჭვო უნდა იყოს ის, რომ ფალსიფიცირებული სასმელის გაყიდვა, ეტიკეტების შეცვლა, ყალბი ანგარიშ-ფაქტურების შედგენა, შექმნილი ფასეულობების ანგარიშში აუღებლობა სისხლის სამართლის დანაშაულია? დარღვევისთვის კი ყველა უნდა დაისაჯოს, მათ შორის კოოპერატივის მუშაკიც. მაგრამ აქაც ვერ დავსვამთ წერტილს.

ფალსიფიცირებული სასმელების რეალიზაციით ბოდბელმა კოოპერატორებმა გარდა მატერიალურისა, დიდი მორალური ზარალი მიაყენეს ჩვენს რესპუბლიკას. ახლა, როცა თავისი გამარცვული ეკონომიკის წამოსაწევად, საქართველო ეძებს სავაჭრო პარტნიორებს, რათა შესთავაზოს მაღალხარისხოვანი ღვინოები და კონიაკები, დახლებზე ცრუიარლიყიანი „ვარციხის" თუ „არაგვის" გამოჩენა, ბუნებრივია, ეჭვქვეშ დააყენებს ქართული კონიაკების ღირსებას.

ისიც გასარკვევია, რის საფუძველზე ხდება ოფიციალური სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ასეთი საეჭვო რეპუტაციის კოოპერატივების რესპუბლიკისათვის ისეთი სტრატეგიული პროდუქტის, როგორიცაა არის ღვინო და ღვინის მასალები, კონიაკებისა და სხვადასხვა ნაყენების თვითნებურად გაცემა.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორ ჭირს მიწისძვრით დაზარალებული რაიონების სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა. რესპუბლიკაში დიდი და პატარა ყველაფერს იკლებს, რაც შეიძლება მოკლე ვადაში რომ შევძლოთ სტიქიისაგან დანგრეულის აღდგენა. ყოველგვარ უზნეობაზე (სისხლის სამართლის დანაშაულზე უკვე ლაპარაკი არაა) უფრო დაბლა დგას ის, რაც ამ რამდენიმე დღის წინ მოხდა ქ. რუსთავში.

მიმდინარე წლის 20 ივნისს, დილის 5 საათზე, რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა დააკავეს სოფელ მარტყოფისაკენ მიმავალი სატვირთო ავტომანქანა „მაზი", რომელსაც მართავდა მძღოლი იაგორ ფლიონაშვილი. ავტომანქანა დატვირთული იყო სხვადასხვა ზომისა და დიამეტრის მილებით. მილიციის მუშაკებმა შეამჩნიეს, რომ მილებით დატვირთულ ავტომანქანას „მიაცილებდა" მსუბუქი ავტომანქანა მგზავრებით. ისინიც შეაჩერეს. ავტომანქანაში ისხდნენ სოფელ მარტყოფის მცხოვრებნი გაიოზ ეპიტაშვილი და ნიკოლოზ შპეტიშვილი.

გამოირკვა, სატვირთო ავტომანქანით მიჰქონდათ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მილსაგლინავი საამქროდან დატაცებული მილები, რომელიც უკანონოდ შეისყიდეს ნიკოლოზ შპეტიშვილმა და გაიოზ ეპიტაშვილმა.

პირადი ჩხრეკისას იაგორ ფლიონაშვილს აღმოაჩნდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, ნიკოლოზ შპეტიშვილს — პისტოლეტი „ტტ".

ამჟამად, გამოძიების პირველ ეტაპზე უკვე დადგენილია, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ცვლის ოსტატმა გივი ჭუნაშვილმა და ამავე ქარხნის დასავლეთის სარკინიგზო სადგურის უფროსმა მერაბ ხაჩიძემ მეტალურგიული ქარხნის კუთვნილი მილებით დატვირთული ვაგონი შეიყვანეს ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე სარემონტო სამშენებლო სამმართველოს ჩიხში, საიდანაც გ. ეპიტაშვილთან და ნ. შპეტიშვილთან წინასწარი მორიგებით ცდილობდნენ მილების დატაცებას. დასახელებულმა პირებმა მეტალურგიული ქარხნიდან ამგვარი ხერხით დაიტაცეს 42 ტონაზე მეტი ექვსი ათას გრძივ მეტრამდე დეფიციტური მილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მატერიალური ფასეულობის დატაცება ხდებოდა ორგანიზებულად წარმოების მუშათა და დაცვის სხვადასხვა რგოლის მუშაკთა აქტიური ხელშეწყობით.

თავი და თავი კი ასეთი ვითარებისა პირველ რიგში ის არის, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამეფებულია აბსოლუტური უკონტროლობა და ქარხნის მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა და დაცვის საქმეში. უფრო მეტიც, გამოძიებისათვის ცნობილი გახდა, რომ მარტო გასულ წელს რკინიგზის რუსთავის სადგურსა და მეტალურგიულ ქარხანას შორის მონაკვეთზე „გაუჩინარდა" ანალოგიური მილებით დატვირთული 27 ვაგონი, თითო ვაგონი საშუალოდ 55 ტ. ტვირთით და ეს ფაქტი კი დღემდე არ გამხდარა სერიოზული შეფასების საგანი.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მომხდარი დანაშაული სერიოზული განსჯისა და განზოგადების საფუძველს გვაძლევს. პირველ რიგში, სახეზეა ე. წ. „აკრძალული ზონების" არსებობის სავალალო შედეგები. წლების მანძილზე სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს უფლება არ ჰქონდათ მისულიყვნენ და შეემოწმებინათ მსხვილი ე. წ. პრესტიჟული საწარმოები. ის კი არა, ამ ობიექტებზე შემთხვევით აღმოჩენილი დანაშაულიც უმეტეს შემთხვევაში დაუსჯელი რჩებოდა, ხდებოდა მისი დაფარვა ან მიფუჩეჩება. რესპუბლიკაში კარგად იციან, რომ ამ კოლექტივს მართლაც და სახელოვანი მშრომელები ჰყავს და მათი შრომის ხარჯზე აქ მოკალათებულ დამნაშავეთა ჯგუფს არავინ არ მისცემს უკანონოდ გამდიდრების საშუალებას.

საბოტაჟი და ღალატი შეიძლება ეწოდოს ფაქტს, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინ იქნა გამოვლენილი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მუშაკების მიერ. მათ დააკავეს „საქმთავარწყალმშენის" მუშათა მომარაგების სამმართველოს კუთვნილი ავტომანქანა, რომელზედაც ეწყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანად გამზადებული 408 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვა საგალანტერეო საქონელი, ბავშვის ფეხსაცმელები, შარფები, ქსოვილები, შეკერილი ნაწარმი და ა. შ. იმავე დღეს დააკავეს იგივე ორგანიზაციის კიდევ ორი მანქანა, რომელზედაც ანალოგიური საქონელი ელაგა. სულ აღნიშნულ მანქანებზე დატვირთულმა საქონლის ფასმა 1. მილიონ მანეთს გადააჭარბა. აღნიშნული აღურიცხავი პროდუქცია დამზადებულია ქ. თბილისისა და რუსთავის 12 საწარმოსა და კოოპერატივებში. წინასწარი გამოძიების საფუძველზე შეგვიძლია ახლავე დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ორგანიზებულ ჯგუფთან, რომელიც სისტემატურად იტაცებს ძალზე დიდი რაოდენობის საქონელს და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყიდის.

გამოძიება დღის სინათლეზე გამოიტანს ამ ჯგუფის თითოეული წევრის მოქმედებას.

ამასთან, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ამ ბნელ საქმეს არც სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკები ალევენ ხელს და ისედაც მცირე რესურსების დამალვა-დატაცებით მნიშვნელოვნად აზარალებენ მოსახლეობას და რესპუბლიკას.

1991 წლის 28 მარტს, ღამით ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა ქ. ზუგდიდში, ძერჟინსკის ქუჩა № 34-ში ზაურ გრიგოლიას სახლის ეზოში დააკავეს 94 980 მანეთის სხვადასხვა სახის ბამბის ქსოვილებით დატვირთული ავტომანქანა. დაკავებულმა ადრე ძარცვა-ყაჩაღობისათვის ნასამართლევმა იროდი ბაღიშვილმა განაცხადა, რომ საქონელი უნივერმაღ „კოლხეთის" მეკუჭნავეს „ნანის" ეკუთვნოდა.

ნანის, იგივე ლივა თოდუას, მილიციის მუშაკებმა ადვილად მიაგნეს. საქონელი შემთხვევით არ მოუტანიათ ზაურ გრიგოლიას სახლში. იგი ლივა თოდუას სიძეა. ჩხრეკისას დიდძალი საქონელი აღმოჩნდა, როგორც ლივა თოდუას, მისი სიძის ზაურ გრიგოლიას, აგრეთვე ოთარ ბერაძის, თენგიზ სორდიას და მარინა შონიას სახლებში.

ზაურ გრიგოლიას სახლიდან ამოიღეს 273 ცალი მამაკაცის ჩინური წარმოების პერანგი, 2200 მანეთის ქალის იმპორტული კაბები, დიდძალი ჩითის ქსოვილი, ფეხსაცმელი, ქალის ჯემპრები და ჩექმები, ყავა, სიგარეტები, საკერავი მანქანები.

ლივა თოდუას სახლიდან ამოღებულია თერჯოლის შამპანური ქარხნის პროდუქცია 53 ყუთი „შამპანური", ქალის ფეხსაცმელები, 10 ცალი ფერადი ტელევიზორი „ვესნა", 7 ცალი ტელევიზორი „ივერია".

ლ. თოდუას მეზობლად მცხოვრები თენგიზ სორდიას საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულია სხვადასხვა სახის ქსოვილები, კანფეტები, შოკოლადის ფილები, სიგარეტები, შამპანურები, ლაბადები და ბავშვის ტანსაცმელი — 98 303 მანეთის საქონელი.

ეს საქონელი ლივა თოდუას ხელში ხვდებოდა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ყაჩაღური ძარცვის, სახელმწიფო ქონების დატაცების და უკანონო ოპერაციების გზით.

სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობითა და უპრინციპობით კარგად სარგებლობდნენ სხვადასხვა ჯურის მაქინატორები და ჩადიან ეკონომიკურ დანაშაულს, რაც ძვირად უჯდება მთელ საზოგადოებას.

1988 წლის 22 მარტს „საქიუველირვაჭრობის" დირექტორის ბრძანებით გორის № 9 მაღაზიის გამგედ დაინიშნა და მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრა პროფესიით დაწყებითი კლასების მასწავლებელს ნოდარ ხაბალაშვილს, რაც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას წარმოადგენდა, მაგრამ ნ. ხაბალაშვილმა სწრაფად „გამოასწორა" ეს ხარვეზი. დაუდგენელი პირისაგან 500 მანეთად შეიძინა ყალბი დიპლომი, თითქოს მან 1989 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ტაშკენტის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის სპეციალობით. ეს ყალბი დიპლომი წარადგინა „საქიუველირვაჭრობის" დირექციაში.

1990 წლის 28 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს გორის სპეცკავშირიდან მან რეესტრის საფუძველზე ჩაიბარა მოსკოვის ექსპერიმენტალური საიუველირო ქარხნიდან გამოგზავნილი ამანათი, რომელშიც იყო 12 დასახელების ბრილიანტის თვლიანი ოქროს ბეჭდები და საყურეები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 37.094 მანეთს. მაღაზიის გამგემ მიღებული ძვირფასეულობა არ აიღო შემოსავალში და მიითვისა.

მან ესეც არ იკმარა, იმავე დღეს გამყიდველ თ. ჭულუხაძესთან შეთანხმებით მყიდველებისაგან გადამალა და გასაყიდად არ გამოიტანა 216.998 მანეთის ოქროს, ვერცხლის, ლითონის და ფაიფურის 38 დასახელების საქონელი. ეს საქონელი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა მაღაზიის სეიფებში, სათავსოებსა, სარდაფსა და დახლქვეშა უჯრებში ნახეს გადამალული.

თუმცა დანაშაულის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი მილიციამ აღკვეთა, უნდა ვაღიაროთ — არ ხდება ან ვერ ხერხდება ყველა დანაშაულისა და დამნაშავის დროული მხილება, რაც პირველ რიგში, ჩვენი მუშაობის ხარვეზებით არის გამოწვეული. მაგრამ ეკონომიკური დანაშაულის ზრდა და მისი პროფილაქტიკის დაბალი დონე მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს რომ მივაწეროთ, არ იქნება მართალი, აქ გამოსავალი პირველ რიგში ისევ და ისევ ის არის, რაც შეიძლება სწრაფად შევიმუშავოთ სამეურნეო საქმიანობისა და ურთიერთობების ისეთი მექანიზმი, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს.

ამ მექანიზმის სრულყოფა ორგანულად უნდა ერწყმოდეს ერთის მხრივ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლებასა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, მეორეს მხრივ კი ჩვენს საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის პროცესს.

რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ამ ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეიტანა ისეთი რადიკალური ცვლილებები, როგორიცაა არის სამეურნეო დანაშაულზე სიკვდილით დასჯის გაუქმება, განსაკუთრებით კი დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცებაზე მსჯავრდებულ პირთა ამნისტია, სპეკულაციის მუხლის გაუქმება.

ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეს ჰუმანური საკანონმდებლო აქტები საზოგადოებრიობამ სწორად უნდა აღიქვას. მსჯავრდებულისადმი ჰუმანური მოპყრობა, მისი ადამიანური ღირსების დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს ეკონომიკური დანაშაულისადმი ერთგვარ შერიგებას — პირიქით — კანონმდებლობის ჰუმანიზაციის პროცესის შემხვედრი დინება უნდა გახდეს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და დისციპლინის განმტკიცება, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული.

როცა ერთად იმოქმედებენ კანონი, საზოგადოებრიობა და სამართალდამცავი ორგანოები, მხოლოდ მაშინ მივაღწევთ რეალურ შედეგს.

დავით სალარიძე,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ თავისი, ძირითადი, არსობრივი კანონები გააჩნია, რომლებიც გამოკვეთავენ მის ბუნებას და მთავარ სულისკვეთებას. ერთ-ერთი ასეთი ძირითადი და არსობრივი კანონია სიმართლე, რომელიც ყოველთვის თავისას მოითხოვს. სიმართლე ვერასოდეს დაფუძნდება სიცრუით, მით უმეტეს შურითა და სიძულვილით. სიმართლე ყოველჟამს სიმართლეს ემყარება, სიყვარულსა და ნათელ, ღვთისნიერ გრძნობებს ეფუძნება.

სწორედ სიცრუითა და შურით, სიძულვილითა და ბოღმით არის აღსავსე საქართველოს გარეთ „საქართველოსათვის მებრძოლის", სინამდვილეში კი საქართველოში დარჩენილი და გამარჯვებული ეროვნული ძალებისადმი მტრულად განწყობილი თენგიზ გუდავას პასკვილი „საქართველოში ირღვევა ადამიანის უფლებები", რომელიც ამა წლის 25 ივნისს გამოქვეყნდა ამერიკაში გამომავალ რუსულ ემიგრანტულ ორგანოში — „ნოვოე რუსსკოე სლოვო". თენგიზ გუდავას ეს „ნაწარმოები", რომელიც პოლიტიკური მოწინააღმდეგისადმი უდიდესი სიძულვილის თავისებურ „ნიმუშს" წარმოადგენს, თავის მხრივ ეყრდნობა ამავე წლის მაისში საქართველოს ეროვნული კონგრესის ადამიანის დაცვის კომისიის მიერ გამოშვებულ მოხსენებას „საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების დარღვევების შესახებ". სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თენგიზ გუდავას „ნაშრომი", ასევე ეროვნული კონგრესის შესაბამისი კომისიის მოხსენებაში მოცემული მასალები, იმ რეალური სურათის აშკარა დამახინჯებაა, რომელიც დღეს არსებობს საქართველოს რესპუბლიკაში. ამავე დროს აღნიშნული დოკუმენტები ეყრდნობიან ისტორიული ვითარების ტენდენციურ გააზრებას და ობიექტურ სიტუაციებს განიხილავენ უაღრესად სუბიექტურად, ანგარიშს არ უწევენ საწინააღმდეგო ფაქტებს და რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს წარმოაჩენენ ცალსახად, ვით თავად აძლევთ ხელს. აი მიზეზი იმისა, რომ თენგიზ გუდავას წერილი „საქართველოში ირღვევა ადამიანის უფლებები", საბოლოო ანგარიშით, თავად წარმოდგება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად და მიმართულია ქართველი ერის იმ ნების წინააღმდეგ, რომელიც აშკარად გამოიხატა შარშან 28 ოქტომბერს, როდესაც მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", და წლეულს 26 მაისს, როცა პრეზიდენტის მრავალკანდიდატიანი არჩევნების ნაყოფი გახლდათ ყოფილი დისიდენტისა და ადამიანის უფლებების ცნობილი დამცველის ზვიად გამსახურდიას პირველ პრეზიდენტად დამკვიდრება. ეს იყო საერთო-სახალხო ნება, როდესაც რესპუბლიკის ქართულ, ძირძველ მოსახლეობას მხარს უჭერდა არაქართული მოსახლეობის დიდი ნაწილიც, რომელიც მხარში ამოუდგა ქართველებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლაში. და რაოდენ სამწუხაროა, რომ წარმოშობით ქართველი, საზღვარგარეთ, იმის მაგივრად, რომ მხარი დაუჭიროს ეროვნული მოძრაობის მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებებს და იქცეს მის პოპულარიზატორად, ჩირქს სცხებს მას და ამით შეურაცხყოფას აყენებს ქართველი ხალხის ნებას, რადგან მის მიერ არჩეულს და ღირსეულად მიჩნეულს ტენდენციურად განიხილავს და უცხო ქვეყნები, მათი პოლიტიკური მოღვაწენი აშკარა შეცდომაში შეჰყავს. სხვა რა დავარქვათ ამ საქციელს, თუ არა ღალატი მშობელი ერის წინაშე? სხვა რა ვუწოდოთ ამ მოქმედებას, თუ არა შურით თვალებდაბრმავებულის სიძულვილი იმ პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ, რომელმაც ოპონენტებს მოუგო პოლიტიკური ბრძოლა და ერის უმრავლესობის სიყვარულზე და კეთილ განწყობაზე დამყარებულმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა საქართველოში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამკვიდრებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში?

რა არის მიზეზი თენგიზ გუდავას ასეთი აღშფოთებისა და იმ შურ-სიძულვილისა, რომელსაც ის არ მალავს საზღვარგარეთ გამომავალ გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში? საქმე ის არის, რომ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე მრავალპარტიული არჩევნები დაინიშნებოდა, ვიდრე „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", ხალხის ნებით, მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში, ვიდრე საქართველოში დაემხობოდა კომუნისტური რეჟიმი, თენგიზ გუდავა, თავის ძმასთან ედუარდ გუდავასთან ერთად, დადგა იმ პოლიტიკური პლატფორმის მხარეზე, რომელიც აშკარად თუ ფარულად, ყოველი ღონით ებრძოდა პოლიტიკურ ხაზს, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ ბატონი ზვიად გამსახურდია. აი, ის ტენდენციურობა და სუბიექტურობა, რომელიც თან ახლავს თენგიზ გუდავას ამ პუბლიკაციას, სწორედ აქედან მოდის, რადგან ის პოლიტიკური მიმართულება, რომლის მხარეზეც აღმოჩნდა პატივცემული თენგიზი, —დამარცხდა, ვერ პოვა მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა, ხოლო მათი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ხაზი კი — გამარჯვებული აღმოჩნდა რესპუბლიკის უდიდესი უმრავლესობის ნებით.

ზემონათქვამის დასასაბუთებლად საკმარისი იქნება ორი დოკუმენტის გახსენება: პირველია ინფორმაცია, რომელიც გაზეთ „ქართულ ფილმში" გამოქვეყნდა არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე. მასში ნათქვამია: „1990 წლის 4-6 ივლისს ქალაქ პრაღაში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „დემოკრატია და დამოუკიდებლობის" მიერ... საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოდგენილი იყო ოთხი პირით (გიორგი ჭანტურია, თენგიზ გუდავა, ირინა სარიშვილი, ედუარდ გუდავა)". მეორე კი გახლავთ ამავე კონფერენციაზე მიღებული „რეზოლუცია № 24 ეთნოკონფლიქტების თაობაზე საქართველოში", ასევე გაზეთ „ქართულ ფილმში" გამოქვეყნებული. ამ რეზოლუციას, რომელიც ფაქტობრივად მიმართული იყო ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, მისი პიროვნების კომპრომეტირებისათვის, ხელს აწერენ სხვებთან ერთად, როგორც ძმები თენგიზ და ედუარდ გუდავები, ასევე გიორგი ჭანტურია. მაშასადამე, ძმები თენგიზ და ედუარდ გუდავები, ცოლ-ქმარ გიორგი ჭანტურიასა და ირინა სარიშვილთან ხელიხელჩაკიდებულნი, „ერთგულად" ებრძოდნენ იმ კაცს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა მიუძღვნა მშობელი ერის განთავისუფლების რთულ, მაგრამ ამაღლებულ და ღვთისგან დალოცვილ საქმეს. მაშასადამე, თენგიზ გუდავა თავის ძმასთან ედუარდთან ერთად ალიანსში ყოფილა იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან, რომლებიც პირადი ამბიციებით აღვსილნი, ხელოვნურად უპირისპირდებოდნენ იმ ნათელ გზას, ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან რომ მოჰყვებოდნენ ეროვნული ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ეს ყველაფერი ხომ მაშინ ხდებოდა, როცა ზვიად გამსახურდიას არავითარი ხელისუფლება არ გააჩნდა და გახლდათ არაფორმალი, დისიდენტი, კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი. დიახ, ეს ყველაფერი ხდებოდა მრავალპარტიულ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე. პრესაში, ტელევიზიით, მაშინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, ზვიად გამსახურდიას დაუმსახურებლად თავს ესხმოდნენ, ემუქრებოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და სხვა. განა მაშინ არ ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ბატონო თენგიზ? განა მაშინ საფრთხე არ ელოდა ზვიად გამსახურდიას და მის მხარდამჭერთა სიცოცხლეს და საქმიანობას? რატომ მაშინ არ აღნიშნავდით და არ წერდით საზღვარგარეთ, რომ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდნენ და რამდენჯერმე განხორციელდა კიდეც მის წინააღმდეგ თავდასხმა? ეს ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში არ შედიოდა? ცხადია, შედიოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ თქვენ ეს არ გაძლევდათ ხელს, რადგან თქვენ, გიორგი ჭანტურიას მხარეზე მყოფთ, არ გაძლევდათ ხელს იმ პოლიტიკური ბლოკის წინსვლა და გამარჯვება, რომელსაც სპიკერობდა ბატონი ზვიად გამსახურდია.

იმ დროის რესპუბლიკის ოფიციალური თუ არაოფიციალური პრესა გადაჭედილი იყო გიორგი ჭანტურიას, ირინა სარიშვილის და მის მხარდამჭერთა სტატიებით, რომლებიც უსამართლოდ ლაფში სვრიდნენ ქართველი ერის ღირსეული შვილის ზვიად გამსახურდიას სახელს, მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე. რას არ უწოდებდნენ მაშინ ზვიად გამსახურდიას. რატომ მაშინ არ ამოიღეთ ხმა, ბატონო თენგიზ და რატომ არ მიიჩნიეთ ეს ფაქტები ადამიანის უფლებების დარღვევად? იმ დროის კომუნისტური ხელისუფლების მიერ მხარდაჭერას ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში თქვენ წარმოაჩენთ როგორც პრესის და ტელევიზიის თავისუფლებას და ამითვე აშკარად ფარდას ჰხდით თქვენსავე ტენდენციურობასა და სუბიექტურობას.

გულმოსულები გამუდმებით თავს ესხმოდით ეროვნულ ლიდერს და შედეგს რომ ვერ აღწევდით, ხალხის უმრავლესობა რომ კვლავ ზვიადის პოლიტიკას არ შორდებოდა და მხარს უჭერდა, გაცოფებულები ახლა თქვენს თანამედროვეებს უწოდებდით ბრბოს და ამით ქართველ ერს პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებდით. ხალხი, რომელსაც თქვენზე უკეთ ესმოდა პოლიტიკა, გწერდათ: „ნუ გეშინიათ იმის აღიარება, რომ დღევანდელი ქართული ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელნი ბატონები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა გახლავან. მერაბი წაიყვანა ღმერთმა. დაგვრჩა ზვიადი, მას გაფრთხილება სჭირდება. დაიჯერეთ მის გვერდით, ამით თქვენს ღირსებას არაფერი დააკლდება" (გაზეთი „თბილისი", 1990 წლის ივნისი, პუბლიკაცია „ხალხი დაიღალა)". და ესეც მრავალპარტიულ არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ხდებოდა. არა, არ ისმინეთ ერის რჩევა და არჩევნებამდეც, არჩევნების შემდეგაც აშკარად დაპირისპირების გზა გააგრძელეთ, ამით კი ხალხი მართლაც უმაღლეს დონეზე გადაღალეთ, ამითვე დაკარგეთ ავტორიტეტი და აშკარად შურისმაძიებელთა ჯგუფებად გადაიქციეთ თქვენივე მიმართულებები.

არჩევნებამდელი ანუ კომუნისტური რეჟიმის დროინდელ პრესაში გაიპარებოდა ინფორმაციები, სადაც აღნიშნულია ის თავდასხმები, რომლებიც მიმართული გახლდათ ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ეს იყო ზღვაში წვეთი იმისა, რაც მაშინ ხდებოდა. ეს რა, ადამიანის მოფერებას ნიშნავდა თუ მისი უფლებების აშკარა შელახვას? სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიაზე თავდასხმები გრძელდებოდა არჩევნების შემდეგაც, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ მისი არჩევის მერეც. ბატონ თენგიზ გუდავას „ლოგიკით", ალბათ, ეს ყველაფერი, პირიქით, ადამიანის უფლებების დაცვას ნიშნავს.

ბატონო თენგიზ! მრავალპარტიულ არჩევნებამდე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები: გიორგი ჭანტურიას „რას უპირებს კრემლი საქართველოს" — პირველი და მეორე ნაწილები (გაზეთი „ქართული ქრონიკა", საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, 1990 წ. 10 აგვისტო), „პატარა ცახესი და... დიდი ამბიციები", (იქვე) „საუბარი ეროვნული კონგრესის შესახებ" (გაზეთი „ქართული ფილმი", 1990 წ. 29 აგვისტო); ირინა სარიშვილის „სანამ გვიან არ არის" — ასევე „ქართული ფილმი", 1990 წ. 13 ივლისი), თამარ ჩხეიძის „ახალი საბჭოთა ცენზურა ეროვნული ერთიანობის იდეის ნიღბით" („ქართული ფილმი", 1990 წ. 29 სექტემბერი), განა ექვემდებარებიან ელემენტარულ ადამიანურ და ზნეობრივ პრინციპებს და განა მათი სულისკვეთება არ იწვევს მათივე პიროვნული დიქტატორული თვისებების ნათელ წარმოდგენას? ისინი ხომ ხელისუფლების სათავეში იყვნენ, ე. ი. დასახელებული სტატიების ავტორები, მწამს, არა მხოლოდ ზვიად გამსახურდია, არამედ ნახევარი საქართველო მაინც ფიზიკურად უკვე განადგურებული იქნებოდა.

დევნის, შეურაცხყოფის, ცილისწამების მაგალითები მოგყავთ თქვენს სტატიაში, ბატონო თენგიზ, რომლებიც, მართლაც, თითიდან არიან გამოწოვილი და უყურადღებოდ ტოვებთ იმ ცილისწამებათა და მუქარათა თუ დევნათა ნიაღვარს, რომელიც მიმართული გახლდათ ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ეს ნიაღვარი სხვადასხვა ფორმებით კვლავ გრძელდება. ამაზე კი დუმხართ. გავიხსენოთ თუნდაც ახლახან ჩატარებული პრეზიდენტის მრავალკანდიდატიანი არჩევნები. ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორი სიძულვილით, უსამართლოდ ლანძღავდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი მხარდამჭერები ბატონ ზვიად გამსახურდიას, განსაკუთრებით სატელევიზიო გამოსვლებში, იმის მაგივრად, რომ თავიანთი პროგრამები ჩამოეყალიბებინათ. ეს რა, არ გახლდათ ცილისწამება და ადამიანის უფლებების შელახვა?

სხვათა შორის, არც ზემოთ დასახელებული ცილისმწამებლური წერილებისათვის, არც ცილისმწამებლური რეზოლუციებისათვის, არც ცილისმწამებლური სატელევიზიო გამოსვლებისათვის ზვიად გამსახურდიას წერილობით თუ ტელევიზიით პირდაპირ არ უპასუხია. ის მსგავს თავდასხმებს ყოველთვის პასუხობდა და ახლაც უპასუხებს საქმით, აქტიური პოლიტიკური თუ თეორიულ-კონცეფციური მოღვაწეობით, ქმედების ენაზე, რითაც დიდ ეფექტს იწვევს და რომლის საშუალებითაც დიდ და შეუდარებელ პოლიტიკურ თუ თეორიულ გამარჯვებებს აღწევს. ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისეული კრედო ყოველთვის იყო ეროვნული საკითხების, ეროვნული საწუხარის პირადულზე წინ დაყენება. ამან მოუპოვა მას დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მშობელ ხალხში, სხვა ღირსეულ თვისებებთან და დამსახურებებთან ერთად. სწორედ ეს ვერ გაიგიათ თქვენ, ბატონო თენგიზ, სწორედ ეს ვერ გაიგეს მათ, ვინც ზვიად გამსახურდიას დიქტატორს ეძახდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არავითარი ძალაუფლება და ხელისუფლება არ გააჩნდა, პირიქით, დევნილი გახლდათ და უუფლებოც.

მრავალპარტიულ არჩევნებში ბლოკ „მრგვალი მაგიდისა" და ზვიად გამსახურდიას, მისი სპიკერის, დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ლიბერალიზაციის პროცესი შეწყდაო, წერთ თქვენ, ბატონო თენგიზ! იმრავლეს პოლიტპატიმრებმაო, დაიწყო დევნა პოლიტიკური მოტივებით, ცილისწამებაო, შეწყდა პრესისა და ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებაო. ყურადღებას ამახვილებთ ჯაბა იოსელიანის პიროვნებაზე, ამახინჯებთ, ანუ ცვლით მის ბიოგრაფიას და ამით დიდ შეურაცხყოფასაც აყენებთ მას. იმას, რითაც ჯაბა იოსელიანი ამაყობს, კერძოდ, თავის კრიმინალურ წარსულს (იხ. გაზეთი „დედამიწის" — მწვანეთა პარტიის ორგანო — წლევანდელი ნომერი), თქვენ შესუსტებულად, გაკვრით აღნიშნავთ, ხოლო გამოუქვეყნებელ მის რომანებს პოპულარულად მიიჩნევთ. გავიწყდებათ, რომ ჯაბა იოსელიანს კი არ შეუქმნია „მხედრიონი", როგორც აღნიშნავთ, არამედ ეს ორგანიზაცია შექმნეს ძმებმა ავთანდილ და თენგიზ მანაგაძეებმა, რომლებმაც „მხედრიონი" დატოვეს მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციის რიგებში შევიდა ჯაბა იოსელიანი. ძმებმა მანაგაძეებმა შექმნეს არაფორმალური გაერთიანება „თეთრი გიორგი", რომელიც აკეთებდა სწორედ იმ პატრიოტულ საქმეს, რომელსაც თქვენ, ბატონო თენგიზ, „მხედრიონს" მიაწერთ. ჯაბა იოსელიანის შემდეგ „მხედრიონმა" მიიღო კრიმინალური ხასიათი. ის კი არ იცავდა თბილისის ქუჩებს და საქართველოს სხვა რეგიონებს, არამედ პირიქით, დესტაბილიზაცია შეჰქონდა და ძაბავდა სიტუაციას, რათა შემდეგ საბჭოთა ჯარები გამშველებლის როლში მოვლენილიყვნენ. ამიტომაც უწევდა ჯაბა იოსელიანის „მხედრიონს" ყოველგვარ დახმარებას მაშინდელი კომუნისტური ოფიციალური ხელისუფლება. ამიტომაც გაატარეს რეგისტრაციაშიც და ვითომდა მაშველი კორპუსის სტატუსი მისცეს აშკარად ჩამოყალიბებულ კრიმინალურ ბანდას, რომელიც შორს იდგა სამხედრო სწავლებისაგან, მით უმეტეს, სამხედრო დისციპლინისაგან. „მხედრიონი" აწიოკებდა ქართულ ქალაქებსა და სოფლებს, მოსპობით ემუქრებოდა ადამიანებს, სტაცებდა მოსახლეობას სურსათ-სანოვაგეს. „მხედრიონის" წევრები მხოლოდ იარაღის ტარებისათვის არ დაუპატიმრიათ. ისინი დააპატიმრეს სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებისათვის. შეშინებული მოსახლეობა სწერდა მთავრობას, ხელისუფლებას, ტელევიზიას, ინფორმაციის სხვა საშუალებებს, აელაგმათ ეს ბანდიტური ორგანიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავის არჩეულ ხელმძღვანელობას უნდობლობას გამოუცხადებდნენ.

ზვიად გამსახურდია დიქტატორი რომ ყოფილიყო, მაშინ ხელისუფლებაში მისვლისთანავე გაანადგურებდა თავის მოწინააღმდეგეებს. ეს არ მოხდა, რადგან იგი, ჰუმანურ პოზიციებზე მდგარი, ელოდა იმ დღეს, როდესაც ანტიეროვნული საქმიანობიდან მისი მოწინააღმდეგეები გადავიდოდნენ ეროვნულ პოზიციებზე, როგორც ამას ხალხიც მოითხოვდა. მოხდა პირიქით, ჯაბა იოსელიანი და მისი მხარდამჭერები ემუქრებოდნენ ხელისუფლებას, ემუქრებოდნენ უზენაეს საბჭოს, პირადად ზვიად გამსახურდიას. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. „მხედრიონი" თავს ესხმოდა მილიციის საგუშაგოებს, მშვიდობიან მოსახლეობას. ასეთ ვითარებაში მათი ბლოკირება აუცილებელი გახდა ისევ საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებისათვის, მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, ნორმალური ცხოვრებისათვის, რაც ასე საჭირო გახლდათ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ერისათვის. ამას ემატება ისიც, რომ თავად ჯაბა იოსელიანი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური მოღვაწე. იგი დამნაშავეთა სამყაროს ეკუთვნოდა, ხოლო პირობით გათავისუფლების შემდეგ, მშვიდ „სამეცნიერო-პედაგოგიურ" ცხოვრებას ეწეოდა. ორივე შემთხვევაში მან სხვების დახმარებით მიაღწია როგორც გათავისუფლებას, ასევე „სამეცნიერო-პედაგოგიურ" კარიერას. „პოლიტიკურ" ბრძოლაში იგი ჩააბეს მაშინ, როდესაც დაჭირდათ გარკვეულ ძალებს ასეთი ტიპის პიროვნების გამოყენება ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ამის ფესვები მიდის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყოფილ თავმჯდომარესთან გურამ მგელაძესთან და მისი საშუალებით თვით შევარდნაძესთანაც.

ის სამხედრო კონფლიქტი, რომელიც თქვენ მოგყავთ, ბატონო თენგიზ, მიმართული იყო სწორედ იმისაკენ, რომ ე. წ. რევკომს, რომელსაც გურამ მგელაძე ხელმძღვანელობს, სტაბილიზაციის მიზნით, ორჯონიკიძესავით, საბჭოთა ჯარები შემოეყვანა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ფაქტობრივი აღდგენისათვის. „მხედრიონის" ბლოკირებით ასეთი ცდების საბაბი ჩაიშალა. ეს ვერ მოუნელებიათ ეროვნული ძალების მოწინააღმდეგეებს.

განა „მხედრიონი" არ ქმნიდა ისეთ ვითარებას, რომ ქალაქში, განსაკუთრებით ღამით, გასვლა შეუძლებელი გახლდათ? განა „მხედრიონმა" არ გადაუკეტა გზა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს დედაქალაქში, ცენტრალურ პროსპექტზე და სახლში მისვლის საშუალება არ მისცა? მსგავსი მაგალითი სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, საინტერესოა, როგორ შეფასებას მისცემდით, ბატონო თენგიზ?

განა გაგონილა სადმე არაფორმალური სამხედრო ფორმირების, ანუ უკანონო სამხედრო გაერთიანების არსებობა, რომელიც ოფიციალურ, თანაც ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას არ ემორჩილება? განა გაგონილა სადმე კანონგარეშე სამხედრო ფორმირება და მისი ხელმძღვანელი აცხადებდეს — პარიტეტული კომიტეტი შეიქმნას და იმას დავემორჩილებიო? ეს პარიტეტული კომიტეტი ამ შემთხვევაში ხომ თავისთავად ხელისუფლებაზე მაღლა დადგებოდა და ამითვე ხალხის ნება უგულვებელყოფილი გახდებოდა.

კომუნისტურმა მთავრობამ იმიტომ გაატარა „მხედრიონი" რეგისტრაციაში, ესეც მრავალპარტიული არჩევნების მოახლოებისას, რომ ამით მძლავრი ძალა დაეპირისპირებინა ეროვნული მოძრაობისათვის და მისი გამოკვეთილი ლიდერისათვის — ზვიად გამსახურდიასათვის. ამ რეგისტრაციამ ოფიციალური გახადა ტერორი და დანაშაული, ბანდიტიზმი. შეშინებული მოსახლეობა ხსნას ელოდა და ასეთი ხსნა გახლდათ მრავალპარტიული არჩევნები. ეროვნულმა ხელისუფლებამ, ცხადია, გააუქმა უკანონო რეგისტრაცია და ამით ხალხის ინტერესები და სურვილები გამოხატა.

დიახ, სწორედ ხალხი მოითხოვდა „მხედრიონის" წევრების ბლოკირებას, ბანდიტური ჯგუფების ანტიეროვნული მოქმედების შეჩერებას. კომუნისტებმა მოახერხეს, რომ ეროვნულ ძალებს ეროვნულ ნიღაბს ამოფარებული კრიმინალური ელემენტები დაუპირისპირეს. ამას მიხვდა ხალხი, მიხვდა და აირჩია ის, ვინც მის ნებას მაქსიმალურად გამოხატავდა და ეროვნულ ენერგიას ბოლომდე აღებინებდა თავისუფლების ბასტიონს. ეს ასეც მოხდა. მაგრამ, მტერი არ ისვენებს. ყოველგვარი მეთოდებით კრემლი ცდილობს ჩირქი მოსცხოს ქართველი ერის ნებას, გამოხატულს მრავალპარტიულ არჩევნებში, პრეზიდენტის მრავალკანდიდატიან არჩევნებში და ამით მოამზადოს ფსიქოლოგიური განწყობა საბჭოთა, კომუნისტური წყობის რესტავრაციისათვის საქართველოში, ცხადია, სხვა ფორმით. ამას ხელმძღვანელობს „ჩრდილოეთის მზის" პოლიტიკის შემქმნელი ედუარდ შევარდნაძე, რომლის მიზანია საქართველო არსებობდეს რუსეთთან ერთად, მის ყმობაში. ეს გზა, ანუ შევარდნაძის გზა მიდის ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, ან სხვაგვარ შეთანხმებამდე, რომელიც საქართველოს მონობას განამტკიცებს რუსეთისადმი, აწ უკვე იურიდიულს. მოცემულ გზას მკვეთრად უპირისპირდება ზვიად გამსახურდიას გზა, ერის უმრავლესობის მხარდაჭერით რომ სარგებლობს, რომელიც მიმართულია საქართველოს სრული თავისუფლება-დამოუკიდებლობისაკენ ყოველგვარი მონობისა და ყმობის გარეშე და ასე მისი მსოფლიო სტრუქტურებში ჩაბმისათვის. აქედან გამომდინარე, ვინც ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ ხაზს ეწინააღმდეგება და ებრძვის, ძალაუნებურად, ნებსით თუ უნებლიედ, საბოლოო ანგარიშით, შევარდნაძის გზასთან მივა ალიანსში. ამას სათანადო გააზრება სჭირდება, ბატონო თენგიზ!

ამდენად, „პოლიტპატიმრობის" კოზირით თამაში, „თავისუფლებისა" და „დემოკრატიის" კარტებით ჟონგლირება მიდის კრემლის პოლიტიკამდე, რომელიც ცდილობს შინაგანი ძალების დაპირისპირებით შექმნას ისეთი ვითარება საქართველოში, როდესაც დღის წესრიგში დადგება სტაბილიზაციის მოთხოვნა და მაშინ, ყოფილი წითელი დიქტატორი ე. შევარდნაძე საქართველოში უკვე აშკარად რუსულ დიქტატურას დაამყარებს, ცხადია, „განვითარების მაღალ ეტაპზე", „გარკვეული" დემონტაჟების შედეგად.

საინტერესოა, ბატონო თენგიზ, რატომ შევარდნაძის დროს არ იბრძოდა ჯაბა იოსელიანი დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის? საინტერესოა, რატომ შევარდნაძის საქართველოში პირველი მდივნობის ჟამს არ მოითხოვდა ჯაბა იოსელიანი ე. წ. პარიტეტულ კომიტეტს, რომელსაც დაექვემდებარებოდა? დავიჯერო, მაშინ ყველაფერი რიგზე იყო? რატომ ამჯობინებდა ბატონი ჯაბა მაშინ მშვიდ, არაპოლიტიკურ ცხოვრებას? განა შევარდნაძე არ ზღუდავდა ადამიანურ უფლებებს და უხეშად არ არღვევდა მას? განა შევარდნაძე არ იბრძოდა ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ?

სად იყო ბატონი ჯაბა მაშინ, როდესაც შევარდნაძემ დევნა შეზღუდა და ბლოკირებაში მოაქცია ეროვნული მოღვაწეები, ცნობილი დისიდენტები? რატომ მაშინ არ აამოქმედა ბატონმა ჯაბამ არაფორმალური, არაკანონიერი სამხედრო ორგანიზაცია? სად იყო ბატონი ჯაბა, როდესაც შევარდნაძემ დასაჯა თვითმფრინავის გამტაცებლები და შეზღუდა, დაარღვია მათი ადამიანური თუ ეროვნული უფლებები?

რაღა ბატონ ზვიად გამსახურდიას და მისი აშკარად ეროვნული პოლიტიკის აღზევების ჟამს გახდა საჭირო ჯაბა იოსელიანის კარტის გათამაშება? რატომ შევარდნაძის რუსოფიკატორული პოლიტიკის ჟამს არ აწუხებდა ბატონი ჯაბა იოსელიანი ან ბატონი ვახტანგ გოგუაძე „შეიარაღებულ" შიმშილობებს? ეს უკანასკნელი ხომ უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს უძღვებოდა შევარდნაძის მეფისნაცვლობის დროს.

ვახტანგ გოგუაძის პრორექტორობიდან წასვლა განპირობებული იყო სტრუქტურული ცვლილებებით, რომელიც ახლა თავად უზენაეს საბჭოშიც მიმდინარეობს და მიმართულია ზედმეტი შტატების წინააღმდეგ. იგი გახლდათ პრორექტორი იდეურ-აღმზრდელობით დარგში, ცხადია, ახალ პერიოდში ეს თანამდებობა ხელს უშლიდა ეროვნული მსოფლმხედველობის დაფუძნებას საქართველოში. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გოგუაძე ამჟამად დევნილი კი არ გახლავთ, არამედ უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის შესაბამისი კათედრის პროფესორია.

ბატონი ზვიად გამსახურდია რომ დიქტატორი იყოს, პირველ რიგში გაათავისუფლებდა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორობიდან პროფესორ ნიკო ჭავჭავაძეს, რომელმაც ამას წინათ რადიოსადგურ „თავისუფლებაში" (რუსულ ენაზე) გადასცა ერისა და პირადად ბატონ ზვიადისადმი უაღრესად შეურაცხმყოფელი ინტერვიუ.

რატომ არ გახსოვთ ის ფაქტი, ბატონო თენგიზ, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე კონფერენციაზე (შარშან სექტემბერში) რევაზ ჩხეიძე მოითხოვდა ზვიად გამსახურდიას ოჯახიანად გასახლებას საქართველოდან და ამისათვის ხელისმოწერების შეგროვებასაც ჩაუდგა სათავეში. რა, ეს არ გახლდათ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა?

რევაზ ჩხეიძის კინოსტუდიის დირექტორობიდან გათავისუფლებაც ემთხვევა სტრუქტურულ ცვლილებებს. უნდა შეიქმნას საწარმოო გაერთიანება, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია. ცხადია, როგორც რეჟისორს, ბატონ რევაზს ყოველგვარი პირობები შეექმნება. მაინც და მაინც ყველა დირექტორი და მინისტრი უნდა იყოს? შემოქმედი კაცისათვის ბიუროკრატიული კარიერა პირიქით, ხელისშემშლელია. მთავარია, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ანტიეროვნულ მოღვაწეობას არ მიჰყოს ხელი. საქმე ის არის, ბატონო თენგიზ, რომ ბევრს თანამდებობა და პოსტი პირადი კეთილდღეობისათვის სჭირდება იმის მაგივრად, რომ ახალი სტრუქტურების დაფუძნებისათვის იბრძოლოს. რატომ შევარდნაძის პოლიტიკას არ ებრძოდა ბატონი რეზო ჩხეიძე, რატომ მაშინ არ გამოდიოდა თავისუფლებისა და დემოკრატიის მებაირახტრედ? რა, მაშინ იდეალური დემოკრატია არსებობდა თუ პირიქით? იქნებ, მხოლოდ თავად ბატონ რევაზისათვის არსებობდა ელიტარული პიროვნული დემოკრატია და ამიტომაც ვერ შელევია მას?

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბრძოლა, სადაც იგი მართლაც უკომპრომისოა, არასოდეს გადაუტანია პირადულ დაპირისპირებაში. მისთვის ეროვნული და პოლიტიკური ხაზი იყო ამოსავალი, რომელიც ყოველთვის უკავშირდებოდა ქართულ ეროვნულ ფესვებს, ტრადიციულ საზრისს და მისიას ქართველი ერისა. ჯერ კიდევ არჩევნებამდე, 1990 წლის 20 ივნისს, გაზეთ „ქართულ ფილმში", ჯაბა იოსელიანი „განკურნების გზაში" წერდა: „ჩვენი მონობის სულიერი კომპენსატორის" „ქართველი" სტალინის არსებობა ტირანისტული მსოფლმხედველობის გახანგრძლივებაში გვიწყობდა ხელს... ამ იდეის განსაქიქებლად განგებამ ამჯერადაც შესაფერისი ფიგურა ზვიად გამსახურდია ამოირჩია, სწორედ ასეთ პიროვნებას უკვე თავისი პოლიტიკური არჩევნებით აქვს დაკისრებული მისია თვალნათლივ და უნებლიედ გაატრიზავოს ჩვენს გონში დაბუდებული დიქტატორიზმისა და ბელადომანიის ხატი". ბატონო თენგიზ, წარმოადგენს თუ არა ეს სიტყვები პიროვნების შეურაცხყოფას? წარმოადგენს თუ არა ეს სიტყვები აშკარა ცილისწამებას? მაშინ ხომ არავითარი ხელისუფლება და ძალაუფლება ბატონ ზვიადს არ გააჩნდა? რატომ არ ამოიღეთ მაშინ ხმა და რატომ არ დაიცავით ბატონი ზვიად გამსახურდია ამ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისაგან, თუ მართლაც გულწრფელად იცავთ ადამიანის უფლებებს?

სხვათა შორის, ასევე არჩევნებამდე, 1990 წლის 8 ივლისს, გაზეთ „კაბადონი-8-ში" სტატიაში „უფლის გზის გადასარჩენად" ჯაბა იოსელიანს ვპასუხობდი: „და ახლა, როდესაც ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ განსხეულებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არნახული მასშტაბები მიიღო, ჩნდებიან ძალები, ისევ ქართული, ქართველების მიერ შემდგარი და ებრძვიან ქართველებს. მაშ, ასე — ქართველები ქართველების წინააღმდეგ. განა ეს ნებისმიერ დიქტატურაზე და ტირანიაზე უარესი არაა?.. ზვიად გამსახურდიას არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია. იგი მხოლოდ ხალხის სიყვარულითაა მოსილი. მან ამ სიყვარულს ძალაუფლების გარეშე მიაღწია, ყოველგვარი სტატუსის, ძალაუფლებითი დიქტატისა და ძალმომრეობის გარეშე". დავძენ, რომ ბატონ ზვიადს არც ახლა სჭირდება ძალადობა, ძალმომრეობა, დიქტატი, რადგან იგი ემყარება კვლავ იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც აღვსილია ქართველთა უმრავლესობა მის მიმართ. ახლა მათ არაქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც უერთდება, რადგან გამსახურდიას ფენომენი მათ ამის საფუძველს აძლევს, თანაც მყარადაც.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხს, უნდა მოგახსენოთ, ბატონო თენგიზ, რომ ეს აქტი აუცილებელი გახლდათ, რათა მსოფლიოს გაეგო, რომ ეს მიწა ქართული იყო, რომ სამაჩაბლო და სხვა ქართული ტერიტორიები ძალმომრეობით გახლდათ მიტაცებული ვითომდა სამხრეთ ოსეთის ოლქში, რომელიც ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად იყო შექმნილი. ამ ოლქის გაუქმება პასუხი იყო იმ არაკანონიერ ქმედებაზე, რომლის ძალითაც ეს ოლქი საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა. რატომ ამაზე არაფერს ამბობთ, ბატონო თენგიზ? ოღონდ ბატონ ზვიადს უმტროთ და მზადა ხართ თვით ტორეზ კულუმბეგოვიც ეროვნულ ლიდერად გაასაღოთ. მალავთ რა, რომ კულუმბეგოვი მხოლოდ ხელია კრემლის პოლიტიკისა, რომელსაც ეთნოკონფლიქტების საშუალებით სურს დესტაბილიზაცია შეიტანოს საქართველოში და შემდეგ გამშველებლადაც მოგვევლინოს.

ეთნოკონფლიქტების პროვოცირება აფხაზეთში, შიდა ქართლში თუ საქართველოს სხვა რეგიონებში მოწყობილია კრემლის მიერ და უპირისპირდება ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელ პოლიტიკას, რომელიც სინამდვილეში შემწყნარებელია ყველა ეროვნული უმცირესობის მიმართ. ეს უკვე დამტკიცდა მის პრაქტიკულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. 1990 წ. 28 ოქტომბრიდან 1991 წ. 26 მაისამდე კარგა დრომ გაიარა და ამ დროის მანძილზე არაქართველი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკას. ეს დაშინებით კი არ მოხდა, არამედ საქმისა და ნდობის, ურთიერთსიყვარულისა და გატანის საფუძველზე.

საქართველოში რელიგიური დევნა სწორედ კომუნისტური რეჟიმის დროს იყო, როცა ბატონობდა ე. წ. ათეიზმი. ახლა ყველა რელიგიის აბსოლუტური თავისუფლებაა დაშვებული, თუმცა გათვალისწინებულია ის რელიგია, რომელიც ისტორიულად შეერწყა ქართველ ერს და რომელმაც მასთან ერთად საუკუნეები გამოიარა. ქართველი ერი რომ ქრისტეს გზით მიდის, ეს არ ზღუდავს სხვა რელიგიებს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ადრე გამაჰმადიანებულთა გაქრისტიანებაც, ბუნებრივია, არ უნდა იყოს აკრძალული.

რატომ მაშინ არ ტეხდით განგაშს, ბატონო თენგიზ, როდესაც საქართველოში ათეიზმი თრგუნავდა ყველა სარწმუნოებას, როცა შევარდნაძის დიქტატურა დევნიდა ყოველგვარ რელიგიურ ინსტიტუტს და კარიერის შექმნაში მხოლოდ ათეისტებს უწყობდა ხელს?

თურქი მესხების საკითხიც, კრემლის მიერ საქართველოს ეროვნული პოლიტიკის მიმართ არის პროვოცირებული, თითქოს ახლა გაახსენდათო თურქ მესხების პრობლემა, მათი ადრე საქართველოში ცხოვრება, რადგან დემოგრაფიულად დასუსტებული ქვეყნისათვის დაეპირისპირებინათ და ფაქტობრივად ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეეფერხებინათ ხელოვნურად.

ბატონო თენგიზ, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონ ზვიადის, მისი ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ თვით ვალერიან ადვაძის ფენომენსაც იყენებთ. გავიწყდებათ, რომ ვალერიან ადვაძე თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული მოძრაობის, საქართველოს გათავისუფლების წინააღმდეგ, შეურაცხყოფას აყენებდა ეროვნულ ლიდერებს, ექსტრემისტებს უწოდებდა მათ, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა წარმოუდგენლად მიაჩნდა, განსაკუთრებით, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამის დასტურია ვალერიან ადვაძის წერილი, რომელიც 1989 წელს გამოქვეყნდა, სწორედ ცხრა აპრილის ტრაგედიის მერე, 11 აპრილს, გაზეთ „კომუნისტში". წერილს ასეთი სათაური აქვს: „მოვუხმოთ გონიერებას". აი, რას წერს პატივცემული ვალერიანი ამ წერილში: „ზემოდან გვიბოძეს დემოკრატია... წინდაუხედავად გადავეშვით მიტინგებსა და დემონსტრაციებში. ამასობაში აქა-იქ ექსტრემიზმმაც წამოყო თავი. მიკროფონებში გაისმოდა ძახილი „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს"... უფრო მეტიც: ისე აიშვა თავი ექსტრემიზმმა, რომ პრაქტიკულად დაიწყო კიდეც აღნიშნული ლოზუნგის განხორციელება". აი, ამ სიტყვების ავტორი წამოაყენეს პრეზიდენტობის კანდიდატად ანტიეროვნულმა ძალებმა. აი, ასეთი პროკომუნისტი, ყოფილი კომუნისტი სურდათ გაეყვანათ პრეზიდენტად კრემლის პოლიტიკის გამტარებლებს კომუნისტური წყობის რესტავრაციისათვის. მაგრამ ქართველი ერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მოწოდების სიმაღლეზე დადგა და ხმა მისცა არა კომუნიზმის რესტავრაციას საქართველოში, არამედ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელსაც სიმბოლურად განასახიერებდა ზვიად გამსახურდიას პიროვნება, კაცისა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა იმპერიული ურჩხულის წინააღმდეგ საქართველოს გამოსახსნელად. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ვალერიან ადვაძეს დაცვა დაჭირდა ქართველებისგან არაქართველებით, უცხო ქვეყნებიდან მოწვეული მცველების საშუალებით, მათ შორის იმ ქვეყნიდან, რომელსაც დაპყრობილი ჰყავს საქართველო. აბა, მითხარით, რომელი ქართველი პატრიოტი მისცემდა ხმას ასეთ კანდიდატს? თქვენს წერილში მოყვანილი ინციდენტი მოხდა იმის გამო, რომ საჭირო გახდა ამ უცხო პირების ვინაობის გარკვევა. განა საჭირო არ იყო ამის გაკეთება იმ ქვეყანაში, სადაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებით უკვე შენდება სუვერენული სახელმწიფოს კონტურები. იქნებ ეს პირები დივერსიულ მუშაობას ეწეოდნენ?

სამწუხაროა, რომ ე. წ. „ორდენოსანი ინტელიგენცია", რომელიც საქართველოში საბჭოთა რეჟიმმა შექმნა და განსაკუთრებით შევარდნაძის პერიოდმა გააძლიერა, ვერ თმობს პირად პრივილეგიებს, აშკარა ანტიეროვნულ პოლიტიკას ემხრობა და ნებსით თუ უნებლიედ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ჭეშმარიტი ინტელიგენცია დღეს საქართველოში სწორედ ეროვნულ პოლიტიკას და მის განმახორციელებელს ზვიად გამსახურდიას უჭერს მხარს.

აი, რას წერდა „ორდენოსანი ინტელიგენციის" ერთ-ერთი წარმომადგენელი რომან მიმინოშვილი, ასევე არჩევნებამდე, ასევე გაზეთ „ქართულ ფილმში" ზვიად გამსახურდიაზე (1990 წ. 26 სექტემბერს), ეშინოდა რა კომუნისტური დიქტატურის მოახლოებული დამხობით არ დაეკარგა პრივილეგიები: „რა ვქნა, ჩემში დიდ ეჭვს იწვევს კაცი, რომელიც ამბობს უჩემოდ საქართველო დაიღუპებოდაო, ეროვნულ მოძრაობას უნარიანად ვხელმძღვანელობდიო... ასე მხოლოდ ავადმყოფ კაცს შეუძლია ილაპარაკოს, რომელსაც თავი ქართველთა მესიად წარმოუდგენია ან... ზვიად გამსახურდიად!" რას იტყვით ამაზე, ბატონო თენგიზ, მოგწონთ, თუ ეს არ გახლავთ ადამიანის შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, ადამიანის პიროვნული უფლებების შებღალვა?

რაც შეეხება ქართულ პრესას, უნდა აღვნიშნო სრული პასუხისმგებლობით, რომ იგი დღეს მრავალფეროვანია და თავისუფალიც. გამოდის ოფიციალური გაზეთები, არსებობენ დამოუკიდებელი გაზეთები და ბოლოს გამოდის ოპოზიციური ან ცალკეული დაჯგუფებების ორგანოები, მათ შორის არსებობს „ქართული ფილმიც". ეროვნულ კონგრესს არც ადრე ჰქონდა გაზეთი, როცა მათ ოფიციალური, კომუნისტური ხელისუფლება უჭერდა მხარს. რაც შეეხება მის შემადგენელ ცალკეულ პარტიებს, მათ აქვთ არაფორმალური გამოცემები. შეზღუდვები არ არის, უბრალოდ ავტორიტეტის, ანუ პოლიტიკური იმიჯის დაკარგვის შედეგად მათ გამოცემებს ბევრი მკითხველი არა ჰყავს.

რატომ ადრე არ ტეხდნენ განგაშს შევარდნაძის მომხრეები, ან რატომ ადრე არ ამახვილებდით ამ პრობლემაზე ყურადღებას, ბატონო თენგიზ, როდესაც საქართველოში სულ რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა, თანაც ოფიციალური და იქ რაიმეს გამოქვეყნება ოცნება იყო ჩვეულებრივი ადამიანისათვის.

საქართველოში დღეს, მიუხედავად სირთულეებისა, შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობებისა, მიმდინარეობს გათავისუფლების პროცესი, რომელსაც სათავეში უდგას ხალხის ნებით, ქართველი ერის ნებით არჩეული პირველი პრეზიდენტი და ეს პროცესი მიდის საქართველოს სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის, ჭეშმარიტი თავისუფლების მსოფლიო სტრუქტურებში მისი ჩასმის დაფუძნება-დამკვიდრებისაკენ. ბატონი თენგიზ გუდავა შეშფოთებულია რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრის პოსტიდან ირაკლი მენაღარიშვილის გათავისუფლებით და უყურადღებოდ ტოვებს იმ რეალურ ფაქტს, რომ იგი გათავისუფლდა არა იმისათვის, რომ სხვა დაენიშნათ ამ თანამდებობაზე, არამედ იმისათვის, რომ დიდი დარღვევები აღმოჩნდა ჯანმრთელობის სისტემაში, საჭირო იყო მათი დროულად გამოსწორება, რასაც მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვდა.

ბატონი თენგიზ გუდავა განიცდის იმ შეურაცხყოფას, რომლითაც თითქოს დაუმსახურებლად ამკობენ „ადამიანის უფლებების ცნობილ დამცველს" ჭალიძეს და ასევე „ცნობილ პოლიტოლოგს" კლიმიაშვილს. ერთიც და მეორეც მოწყვეტილი არიან საქართველოს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. ისინი არ სუნთქავენ საქართველოს არსობრივი პრობლემებით, მათ არ აღელვებთ მისი განვითარების შინაგანი მამოძრავებელი ძალების სულისკვეთება. ჭალიძეს თითოეული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ციხის საკანს აგონებს, ხოლო კლიმიაშვილი მზადაა მხარში ამოუდგეს პროკომუნისტურ ძალებს და დაეხმაროს მათ საბჭოთა რეჟიმის რესტავრაციაში. ქართველ ერს მაღალი პოლიტიკური შეგნება საშუალებას აძლევს შეიცნოს როგორც ჭალიძის „დისიდენტობა", ასევე კლიმიაშვილის „პოლიტოლოგობა". აქედან გამომდინარე, მათი ავტორიტეტი რესპუბლიკაში ნულამდეა. ეს მათი „მოღვაწეობის" რეალური შედეგი გახლავთ.

ბატონი თენგიზი აღშფოთებულია რადიოსადგურ „თავისუფლების" კორესპონდენტების ფოფხაძისა და თავხელიძის „დევნით". სინამდვილეში ეს პიროვნებები არ არიან ამ რადიოსადგურის ოფიციალური კორესპონდენტები. ისინი ემსახურებიან ანტიეროვნულ ძალებს, რათა გადასცენ შეგნებული დეზინფორმაცია საქართველოში გამარჯვებული ეროვნული ძალების წინააღმდეგ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ფოფხაძის, ისე თავხელიძის და მათ მსგავსთა პროფესიული დონე ძალზე დაბალია, ისინი არ არიან პროფესიით ჟურნალისტები, არც თუ ჰუმანიტარები. მათ ეს „კორესპონდენტობა", ანუ დეზინფორმაციის სისტემატური გადაცემები თავიანთი პირადი ინტერესებისათვის, პირადი კეთილდღეობისათვის სჭირდებათ, რადგან ესაა მათი გამდიდრების უშრეტი წყარო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისინი არც თუ „დეზინფორმაციაში" გვევლინებიან პროფესიონალებად. ამასაც ძალზე დაბალ დონეზე აკეთებენ.

რაც შეეხება გატაცებებს, ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება, ამასთან, ისიც დასაშვებია, ბატონო თენგიზ, რომ შესაძლოა ეს თუ ის გატაცება გარკვეული პიროვნებისა პროვოცირებული იყოს კრემლის მიერ. შესაძლოა, რომ სწორედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ხახვას გატაცებაც პროვოცირებულია ცენტრის მიერ. ასევე პროვოცირებული გახლდათ ნ. იმნაძის მკვლელობაც, რაც ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული აჭარაში.

ხოლო, რაც შეეხება პრეზიდენტის პრესტიჟის დაცვის კანონს, იგი აუცილებლად მიმაჩნია, რადგან იცავს ხალხის მიერ არჩეულ პიროვნებას ანტიეროვნული ძალების უხეში და ხელოვნური გამოხდომებისაგან. ამით ხალხის ნებაც დაცულია. ასევე საქართველოს რესპუბლიკაში მიტინგები და დემონსტრაციები კი არ იკრძალება, არამედ უწესრიგობანი, რაც დესტაბილიზაციის საშიშროებას იწვევს. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო თენგიზ, საქართველო მალე დაიმკვიდრებს ჭეშმარიტ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

განსაცვიფრებელია ერთი დეტალი: ბატონი თენგიზი ბატონ ზვიად გამსახურდიას აბრალებს ეთნოკონფლიქტს ოსებთან, რადგან თურმე მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა ბატონ ზვიადს ცხინვალში საომრად წაუყვანია. სინამდვილეში ამ მართლაც მშვიდობიანი დემონსტრაციით, სადაც სხვა ლიდერებიც იღებდნენ მონაწილეობას, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ცხადი გახადა სამყაროსათვის, თუ ვინ ვინ არის. ცხადი გახდა ყველასათვის, რომ ეს მიწა ჩვენია და ამ ჩვენს მშობლიურ მიწაზე სტუმრები მასპინძლები გაგვიხდნენ, რომლებიც იქ აღარ გვიშვებენ. აღნიშნულმა დემონსტრაციამ დაიცვა ის ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში და დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ ყოველ დონეზე, როგორც ოსური მოსახლეობის, ასევე ადგილობრივი ოფიციალური ხელისუფლების მხრიდანაც.

აღმაშფოთებელია, ბატონო თენგიზ, თქვენი ცდა ეთნოკონფლიქტების გართულებისა საქართველოში, იმის მაგივრად, რომ მათ რეგულირებაში და სტაბილიზაციაში დაიდოთ წილი. ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირებას არ კმარობთ და გსურთ ქართული და ებრაელი მოსახლეობის ურთიერთკონფლიქტის მოწყობა. აბა, მაშ რას მივაწეროთ თქვენს მიერ პროვოკაციულად გამოყენებული ებრაელი რაბინის სიტყვები, ნათქვამი საქართველოს დღევანდელი წყობისა და ხელმძღვანელობის მისამართით. იმედია, ამ პროვოკაციას არც ქართველები წამოეგებიან და არც ებრაელები. ამის გარანტიაა მრავალსაუკუნოვანი მეგობრული თანაცხოვრება ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის დალოცვილ ქართულ მიწაზე.

აღნიშნავთ ხაზგასმულად: ჯაბა იოსელიანის ადვოკატს ქართლოს ღარიბაშვილს აუკრძალეს „პოლიტპატიმრის" დაცვაო და მხედველობიდან უშვებთ იმ ფაქტს, რომ ეს „დამცველი" შეურაცხყოფითა და ცილისწამებით აღსავსე პროკლამაციებს ავრცელებდა ახალარჩეული ხელისუფლებისა და პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

განა ადვოკატის ღირსებას და თუნდაც პროფესიონალიზმს წარმოადგენს ის, რომ ერთი პიროვნება დაიცვას მეორის ცალამტვერების, ცილისწამებისა და უაღრესი შეურაცხყოფის ხარჯზე? ლანძღავდა რა ქართველი ერის მიერ არჩეულ წინამძღოლს, ამით, ქართლოს ღარიბაშვილი, უწინარესად, ქართველ ხალხს აყენებდა შეურაცხყოფას, რადგან ბღალავდა მისი ნებას, მისი არჩევანის ღირსებას.

ამრიგად, ბატონო თენგიზ, ცხადზე ცხადია, რომ თქვენ ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხები კი არ გაინტერესებთ, არამედ მონდომებული იწევით საქართველოს დღევანდელი ეროვნული ხელისუფლებისა და ჩვენი პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციას. არ გამოგივათ, რადგან მზე ხალთაში არ დაიმალება, სიმართლე თავისას მოითხოვს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲐᲑᲜᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

1991 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელი

ქრისტიანული ქვეყნის მოქალაქე

დღეს, როდესაც არ ცხრება მოყვასის, ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი, დღეს, როდესაც ზოგიერთ ჩვენთაგანს ვერ განურჩევია ნათელი ბნელისაგან და ქრისტესა და ბელიარის ერთობას ქადაგებს, ურიგო არ იქნებოდა წმიდა წერილსა და წმინდანთა ცხოვრებაზე დაყრდნობით გაგვეხსენებინა, თუ როგორი ურთიერთვალდებულების წინაშე დგანან **სასულიერო თუ საერო პირნი** ხელისუფალნი, მართლმსაჯულნი და გვარდია ჩვენი ეროვნული, რამეთუ არსებული, ერის მიერ არჩეული ხელისუფალნი „ღმერთის მიერ არიან და კეთილისმოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედთათვის არიან საშიშნი“.

თვით წმ. მეფე თამარი ბრძანებდა: — „წმიდანო მამანო, თქვენ ყველაზე მეტად მოვალენი ხართ ღირსეულად, კეთილად და სამართლიანად იღვწოდეთ... სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა განდევნეთ, ბოროტმოქმედნი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ. იწყეთ მართლმსაჯულება პირველად თუნდაც ჩემზედ, თუკი ვარ დამნაშავე, თუ რაიმეში მედება ბრალი. გვირგვინი, რომელიც მე მადგას თავზე, არს ნიშანი მეფობისა და არა ღვთის წინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ნუ მიხედავთ ნურც გვარს, ნურც მთავართ დიდკაცობას: ყველას სიმართლით მოეპყარით, გლეხსაც და თავადსაც; ვიმოქმედოთ ყველამ ერთად ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის: თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით, თქვენ დარიგებით, მე აღსრულებინებით და გაწვრთნით, როგორც წესი და რიგია. იმოქმედეთ თქვენ, ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე — ვითარცა მეფე. თქვენ ვითარცა მოძღვარნი, ხოლო მე ვითარცა აღმსრულებელი თქვენის დარიგებისა და რომ ყველამ აღასრულოს კანონი, ჩვენ უშიშრად ხელი მივცეთ ერთმანეთს და თვალყური ვადევნოთ სამართლის აღსრულებას!“.

არსებობს საეკლესიო და საერო სამართალი. საერო სამართალი წინასწარმეტყველ მოსეს სჯულს ეფუძნება, რომლის ძალითაც უძველესი კულტურის— ბიბლიურმა ერმა საუკუნეთა ქარცეცხლში გამოიარა...

ამჟამად ხშირად გაისმის კითხვა, თუ რამდენად ქრისტიანულია ადამიანთა განსჯა? აგრეთვე მოწოდება „ნუ აღუდგები წინ ბოროტს“ (მათე, 5,49), ხოლო თუ როდის — რა შემთხვევაში უნდა მოვიქცეთ ამგვარად, ამას არ განმარტავენ... ამ მცნებით იკრძალება მხოლოდ ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიმართ პირადი ანგარიშსწორება. ქრისტიანი ვალდებულია მიუტევოს ბოროტის მყოფელს პირადი შეურაცხყოფა, წყენა. ეს პირადი ვალია ყოველი ჩვენთაგანისა, მაგრამ მოყვასის სიყვარულისათვის, მისი სიკეთისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ბოროტმოქმედთაგან მათ დასაცავად, რადგან ამ შემთხვევაში ისინი მოძმეთა მიმართ ღმრთის ნებისა და მცნების დამრღვევად გვევლინებიან.

„ნუ განსჯით რათა არ განისაჯოთ“ (მათე, 7,1). ამ მცნებით მაცხოვარი გვიკრძალავს ძმათა განკითხვას სხვადასხვა ნაკლოვანებათა და პირად შეურაცხყოფათა გამო. ხოლო როდესაც ჩვენს ძმას მოაქვს ზიანი ჩვენთვის და იმავდროულად ვნებას აყენებს მშვიდობას, სიკეთეს და სიმართლეს ერთში, — საერთო სარგებლობისათვის, ჩვენ ვალდებულნი ვართ მივმართოთ კეისრის მსჯავრს — საერო სამართალს. როდესაც ფესტუსმა იუდეველთა საამებლად, არასამართლიანი განაჩენის გამოტანა დააპირა, პავლე მოციქულმა განაცხადა: „კეისრის მსჯავრს ვუხმობ“ (საქმე მოციქულთა 25, 11).

საერო სამსჯავრო არ ისახავს მიზნად შური იძიოს ან ბოროტი უყოს მტერს. იგი ზრუნავს მხოლოდ სამართლის აღდგენისათვის ერში და ბოროტმოქმედთა დაოკებას, ყოველგვარ შურისგებას კი მიანდობს ღმერთს (იაკობი, 4,11,12.2. თესალონ. 1,6-9). საერო სამსჯავრო — სასამართლო ვალდებულია დაადგინოს სიმართლე, თუ ჩადენილია დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე (ფს. 81,4) და ამგვარად ემსახუროს ერის ინტერესებს — ეკლესიასა და მთელ ერთან ერთად იღვაწოს სამართლიანობის დამკვიდრებისათვის.

მოსეს სჯული — ღმერთის ათი მცნება, რომელიც ქრისტეს განხორციელებამ სრულჰყო, გვასწავლის არამარტო სამართალს, არამედ სიყვარულს, რომელსაც მოქალაქენი აღუზრდია და ქვეყანა უშენებია...

მოყვასისა და ერისადმი თავდადებისა და პატრიოტიზმის უდიდეს მაგალითს საღვთო წერილში ვხვდებით.

მოსეს სჯულს ნაზიარები ებრაელი ხალხის მთელი ისტორია აღსავსეა იმის მოწმობით, თუ როგორ უყვარდათ მათ სიონი, იერუსალიმი და თავიანთი ტაძარი. ეს იყო ჭეშმარიტი პატრიოტიზმის, თავისი ხალხისა და მისი სალოცავების სიყვარულის საუკეთესო მაგალითი.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ ფსალმუნებში შემავალი ებრაელთა სალოცავების ქება-დიდება ღვთისმსახურებაში შეიტანა, რომლის დროსაც იგალობება: „კურთხეულ არს უფალი სიონით გამო, რომელი დამკვიდრებულ არს იერუსალიმს“.

ღვთის სადიდებლად და მოყვასთა სიყვარულით გულანთებული შეეგება წმ. წინასწარმეტყველი მეფე დავითი გოლიათს, „და ჰრქუა... შენ მოხვალ ჩემ ზედა მახვილითა, ჯაჭვითა და ფარითა, ხოლო მე მოვალ შენ ზედა სახელითა უფლისა ღვთისა საბაოთისათა ღვთისა მწყობრისა ისრაელისა, რომელსაცა აყვედრე შენ დღეს...“ (I მეფეთა, 17,45). დავითმა იერუსალიმი გამოაცხადა სატახტო ქალაქად, გადაასვენა იქ აღთქმის კიდობანი და დაამყარა წესიერი ღვთისმსახურება. სამოქალაქო მართვის საქმეში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამართლის აღდგენას. მისი პირადი თავმჯდომარეობით იკრიბებოდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ, მისი ერთგული ჯარის უფროსი და მღვდელმთავრები. დავითმა აღაშენა და თავის ვაჟს სოლომონს მიანდო უდიდესი და უმშვენიერესი ღვთის ტაძრის შენება. გარდაცვალებისას მან სოლომონს უანდერძა: „დაიცავი მცნებანი შენი უფალი ღვთისა... დაიცავი მისი სამართალი, აღთქმა და განკითხვა დაწერილნი მოსეს სჯულში“...

არც ერთი წიგნი არ ადიდებს ღმერთს ისე, როგორც ფსალმუნნი. დავითის მიერ შექმნილ ფსალმუნნზე ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „ფსალმუნების გალობა შემამკობელია სულისა, ზეციური ძალების მომხმობია შეწევნისათვის, განმწმედელია ცოდვისა და ეშმაკთა სიბოროტისა, შესამოსელია სიწმიდისა და სიხარულისა, ბიწიერების აღმომფხვრელია, რისხვის განმდევნი, მომნიჭებელი სიყვარულისა, დამამტკიცებელი სჯულისა, სიმნელის გამფანტველი და შემმოსველი ბრწყინვალებისა“... ხოლო წმ. მღვდელმთავარი ბასილი დიდი ბრძანებს: „ფსალმუნნია შურისმგებელი მტრებისა... მათგან შეიცნობ ვაჟკაცობის სიდიადეს, სამართლიანობის სიმკაცრეს, სიბრძნის პატივისცემას, კეთილგონიერების სრულყოფას, მონანიების სასოებას, ზომას მოთმინებისას და ყოველგვარ სიკეთეს“... მოქალაქეთა აღმზრდელი ფსალმუნნი, რომლის გულისხმიერი კითხვაც ამარცხებს ეშმათა ძლიერებას და ეძიებს სიმართლეს, მართლმადიდებელ ქრისტიანთა უსაყვარლესი წიგნია. მას ბრძოლებში გამუდმებით თან ატარებდა და კითხულობდა წმ. მეფე ჩვენი დავით აღმაშენებელი.

თავისი ხალხის სიყვარულის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა ძველ აღთქმაში მოსე წინასწარმეტყველმა. როდესაც ღმერთთან აღთქმის დადების შემდეგ, ისრაელმა ხალხმა უღალატა თავის ღმერთს, და კერპს თაყვანისცა, ამ საშინელი დაცემის ტრაგიკულად განმცდელი მოსე მზად იყო მსხვერპლად გაეღო არამცთუ წარმავალი — დროებითი ცხოვრება თვისი, არამედ ცხოვრება საუკუნო, ოღონდ კი თავისი ხალხის ცოდვა გამოესყიდა და ეხსნა ის.

მოსემ იწყო ლოცვა-ვედრება ცდომილი ხალხისათვის, ხალხისათვის, რომელმაც უარყო ცოცხალი ღმერთი და თაყვანისცა კერპს. 40 დღე და 40 ღამე არ ჩამოსულა მთიდან, რომელზეც ლოცულობდა. ამგვარი ლოცვით აკავებდა მოსე ღვთის მრისხანებას გარდამოსულს თვის ერზე. ბოლოს ღმერთმა უპასუხა: „ახლა მიმიშვი, რათა აინთოს ჩემი რისხვა მათზე და გადავბუგო“. ღმერთის სიტყვებში საგულისხმო მართლის ლოცვის ძალის დასტურია, რომლითაც იოანე ოქროპირის გაბედული გამოთქმით, თითქოსდა ბოჭავსო ღმერთს! კიდევ უფრო მეტის გულმხურვალებით იწყო დიდმა წინასწარმეტყველმა ლოცვა-ვედრება და ბოლოს აღმოხდა: „ახლა მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არადა, ამომშალე შენი ცხოვრების წიგნიდან“... „გადაიფიქრა ღმერთმა, დაინახა რა თავგანწირვა მართლისა: და აღარ დაატეხა უბედურება თავის ერს“.

თავდადების ამგვარსავე მაგალითს ახალი აღთქმიდან ვხედავთ დიდი მოციქულის პავლეს ცხოვრებაშიც. არავინ უშლიდა მას ქადაგების საქმეში ხელს ისე ბოროტად და დაჟინებით, როგორც მისი თანამემამულენი, რომელთაც არ იწამეს ქრისტე, მათ სძულდათ პავლე, მამების რწმენის მოღალატედ მიაჩნდათ იგი. მაგრამ ნახეთ რას ამბობს მოციქული თავის თანამემამულეებზე? „ვისურვებდი თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო, რომლებიც არიან ისრაელიტნი“-ო. ეს სიტყვები მოძმეთა უძლიერესი სიყვარულის განმცხადებელია და იმდენად დიდი, რომ პავლე მოსეს მსგავსად მზად იყო საკუთარი საუკუნო სიცოცხლე და ცხოვრება გაეღო მსხვერპლად, ოღონდ კი ეს ხალხი ეხსნა...

ცნობილია ღირსი ათანასე ათონელის ცხოვრებაში მომხდარი შემდეგი შემთხვევა: მის მონასტერში ბერად აღიკვეცა ქართველი თავადი თორნიკე ერისთავი, გამოჩენილი მხედართმთავარი. სახელმწიფოს ძნელბედობის ჟამს— სპარსელებთან ომის დროს იმპერატორმა ზოიამ უხმო თორნიკეს, რათა იგი ლაშქარს ჩასდგომოდა სათავეში. თორნიკემ გადაჭრით იუარა, უკვე ბერი ვარო, მაგრამ ღირსმა ათანასემ უთხრა მას: ჩვენი ვალია ლოცვით დავიცვათ მოყვასნი მტერთაგან. მაგრამ თუ უმაღლესი ძალაუფლება საჭიროდ სცნობს საერთო სიკეთისათვის ხელნი ჩვენნი გამოიყენოს და მკერდიც, ჩვენ უსიტყვოდ უნდა დავმორჩილდეთ... და თუ ქრისტიან მეფეს არ დაუჯერებ, პასუხს აგებ თანამემამულეთა შენდა სისხლის გამო, რომელთა ხსნაც არ მოინდომე, პასუხს აგებ ღვთის ტაძრების გატიალებისთვის... თორნიკემ, ვითარცა ქრისტეს ჭეშმარიტმა მოწაფემ კვლავაც უარყო ნება თვისი, ღვთის მორჩილებისა გამო აისხა აბჯარი და წინ გაუძღვა ლაშქარს. წმ. მოციქულთა სწორი კირილე კი მუსლიმებს ეუბნებოდა: „ჩვენ სულგრძელად ვითმენთ პირად წყენას, მაგრამ საზოგადოებაში ერთმანეთს ვიცავთ და მოყვასთათვის სულს გავიღებთ, რათა თქვენ, ჩვენს თანამოქალაქეთ რომ დაატყვევებთ, რწმენის უარყოფა არ აიძულოთ“... ასეთნი იყვნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფენი — ქრისტეს მხედარნი. **„ქრისტიანული სიყვარული განსაკუთრებულია, იგი საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს“ (არქიმანდრიტი რაფაელი) ქრისტიანთა მოქალაქეობა ქრისტესა და მის წმინდანთა ცხოვრებისადმი მიბაძვაშია, რა ჟამსაც არ უნდა იყოს, ეს იქნება ჟამი სინანულისა, ლხინისა, მშვიდობისა, ომისა, თუ შენებისა...**

„ქრისტიანული მოძღვრება გმობს ბრძოლას, მაგრამ წესრიგის, სამართლის აღდგენისა და მოყვასის დასაცავად აღმდგარი ბრძოლა კურთხეულია. ტყუილად როდი ვკითხულობთ გამოცხადებაში, ბრძოლა ცაშიც იყო (აპოკ. 12,7), როდესაც მთავარანგელოზმა მიქაელმა და წმ. ანგელოზებმა ზეციდან განსდევნეს ლუციფერი მის თანამოაზრეებთან, ცოდვილ ანგელოზებთან ერთად....

„ხელისუფლების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღმერთის ბრძანებას... რადგან იგი ღმრთის მსახურია, შენდა სასიკეთოდ... ღმრთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ. ამიტომ გმართებთ მორჩილება არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინდისითაც, სწორედ ამიტომ იხდით ხარკს, რომ ღმერთის მსახურნი არიან ამ საქმეზე გადაგებულნი“ (რომ. 13,2-6).

ამრიგად მცნება „ნუ აღუდგები წინ ბოროტს“, არ კრძალავს სამხედრო სამსახურს, რომელიც ქრისტიანული სიყვარულის უმაღლეს ღვაწლს წარმოადგენს (იოანე 15,13). პავლე მოციქული მეომრებს ღმრთის მსახურად მოიხსენიებს: „ტყუილად როდი არტყია ხმალი: იმისთვის, რომ ღმერთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ“ (რომ. 13,4).

მებრძოლი უნებურად შეიძლება სცოდავდეს. ეს მაშინ ხდება, როდესაც იგი პირადი სიძულვილისა და შურისძიების გრძნობასა და საკუთარ ამპარტავნულ მისწრაფებებს აქსოვს ბრძოლაში და პირიქით, რაც უფრო ნაკლებად ფიქრობს საკუთარ თავზე და მეტს მოძმეთათვის თავის გაწირვაზე, მით უფრო ახლოსაა **წამებულის გვირგვინთან ის,*** რამეთუ „ღმერთი სიყვარული არს“ და „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის“ (იოანე 15,13, ლუკა, 19,27; რომ. 13,4), „უჯეროა კაცის კვლა, მაგრამ ბრძოლაში მოწინააღმდეგეთა მოწყვეტა კანონიერია და ქების ღირსი. ამიტომ ბრძოლაში მამაცობით გამორჩეულნი პატივის ღირსნი არიან და მათ სახელზე მათი სიმართლის მქადაგებელი ძეგლები აღიმართება“ (დიდი სჯულის კანონი. წმ. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე ამონ მონაზვნის მიმართ).

*** იმ შემთხვევაში, თუ ქრისტიანი ეკლესიის წევრია ანუ წელიწადში ერთხელ მაინც ღირსი ხდება წმიდა ზიარებისა.**

„ძმობა ლაზარეს აღდგინების“ გამგებელი.

მერაბ სულაქველიძე,

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ ნიკორწმინდის აღდგენის ფონდში.

ლაზარეს
აღდგინება
V

„ლაზარეს აღდგინება“ ერთადერთი გამოცემაა, რომელიც რელიგიური სიტყვით უკომპრომისოდ ამხელდა და დღესაც ამხელს აპოკალიფსური წითელი ურჩხულის იმპერიას, მის სატანისტურ არსსა და მომავალს... წლეულს მოგვიანებით გამოვიდა „ლაზარეს აღდგინების“ მორიგი — მეხუთე გამოცემა, რომელსაც ინდივიდუალური წესით გამოსცემს „ძმობა ლაზარეს აღდგინების“ გამგებელი მერაბ სულაქველიძე.

„ლაზარეს აღდგინება“ V განმარტავს რელიგიის ისეთ იდუმალ საკითხებს, როგორიც გახლავთ: ავადმყოფობისა და სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო, კომუნისტური დიქტატურის მისტიური არსი, ანტიქრისტეს წინამორბედისა და ანტიქრისტეს აპოკალიფსური არსის კვლევა, მაგია და თანამედროვეობა, უკანასკნელი ჟამის სატანიზმის ზოგიერთი მხარე — მაგიის შენიღბული ფორმებით ადამიანის ჯანმრთელობასა და ქრისტიანობასთან ბრძოლა, ქრისტიანთა მიერ თანამედროვე ჯადოქართა მხილება და მათ მიერ ვნებულთა კურნება— სულიერი დაცვა, ეშმასთან ბრძოლა.

მცირე ტირაჟის გამო „ლაზარეს აღდგინება“ V-ის შეძენა შესაძლოა მხოლოდ რუსთაველის ძეგლთან მდებარე ეროვნული გვარდიის ჯიხურში.

ხიდი

საქართველოს საპატრიარქოს სტუმარი

21 ივლისს საქართველოში ერთი დღით სტუმრად იყო რომის პაპის იოანე პავლე მეორის მრჩეველი დონ ჯოვანი ერკოლე. საქართველოს საპატრიარქოში საპატიო სტუმარს შეხვდა და ესაუბრა ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე, რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რომის პაპის მრჩევლის ჩამობრძანება საქართველოში ჩვენს ეკლესიებს შორის ტრადიციული, კეთილი დამოკიდებულების ნათელი დადასტურებაა.

დონ ჯოვანი ერკოლემ მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის და თქვა, რომ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები კვლავაც გააგრძელებენ და გააღრმავებენ თანამშრომლობას, რომელიც სიკეთეს მოუტანს ორივე ქვეყნის ხალხებს.

სტუმარმა მთავარეპისკოპოს კალისტრატეს გადასცა რომის პაპის სპეციალური მოწვევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელზე, ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი მიწვეულია ვატიკანში 28 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე. მასპინძელმა ილია მეორის სახელით მადლობით მიიღო მისი უდიდებულესობის ეს წინადადება.

იმავე დღეს იტალიელი სტუმარი ერევანს გაემგზავრა.

საქინფორმი.

• • •

სურათზე: რომის პაპის პავლე იოანე მეორის წარმომადგენელი დონ ჯოვანი ერკოლე მეუფე კალისტრატესთან შეხვედრის დროს საქართველოს საპატრიარქოში.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დეპუტატის ტრიბუნა

სესიაზე წარმოსათქმელი სიტყვა

პატივცემულო დეპუტატებო! მე მგონი ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ პრესცენტრის გაუქმება ნაკარნახევია არა სტრუქტურული გადაწყვეტილების აუცილებლობით, არამედ ხელისუფლების გარკვეულ წრეებში პრესცენტრის არაეფექტური მუშაობის შესახებ დომინირებული აზრის გამო.

წინასწარ მოგახსენებთ, რომ მე, როგორც უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა, წერილობით მივმართე ბატონ პრეზიდენტს ჩემი გადადგომის თაობაზე, იმ შემთხვევაში თუ ბლოკირებული არ იქნებოდა გარკვეული არაკომპეტენტური, დესტრუქციული ძალების ზემოქმედება პრესცენტრის მუშაობაზე. პირადი ამბიციები არასოდეს ყოფილა ჩვენი მუშაობის საფუძველი და იმედია, არც ეს გამოსვლა ჩამეთვლება ამბიციურობაში. ჩემი გამოსვლის მიზანია მოკლედ მოგახსენოთ იმ მიზეზების შესახებ, რომელთა არსებობამაც შექმნა არაეფექტური მუშაობის ილუზია, აგრეთვე შევეცდები დაგარწმუნოთ, რომ მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით პრესცენტრის, როგორც სტრუქტურული ქვედანაყოფის გაუქმება ალოგიკურია.

1. 1985 წელს იმპერიის სათავეში მ. გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკური ბალანსის დარღვევის საშიშროებიდან გამომდინარე დასავლეთის პოლიტიკური ძალები შემობრუნდა კრემლის პოლიტიკის სასარგებლოდ, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია მათი თავშეკავებული პოლიტიკური ხაზის გატარება ურჩი რესპუბლიკების მიმართ.

2. თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა მძლავრი იდეოლოგიური მანქანა, რომელსაც ფართო განშტოებული ქსელი ჰქონდა და აქვს მთელ მსოფლიოში და რომელსაც საჭიროების შემთხვევაში წარმატებით იყენებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სათანადო კალაპოტში ჩასასმელად. კრემლი საკმაოდ ეფექტურად იყენებს ყოფილ პარტიულ ლიდერებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. სწორედ ამ უზარმაზარი, კარგად ორგანიზებული და ფინანსირებული სისტემის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლაში ჩაბმა საქართველოს ინფორმაციულ სამსახურებს და ასეთ პირობებში საკვირველია, თუ უფრო მეტი არა, ზოგიერთი დეპუტატის და ხელისუფლების გარკვეული წრეების უკმაყოფილება უზენაესი საბჭოს პრესცენტრის მუშაობის არაეფექტურობის გამო.

თავისი დაფუძნებიდან 4 თვის მანძილზე უზენაესი საბჭოს პრესცენტრს არ გააჩნდა არავითარი ტექნიკური საშუალება, რათა სრულად შეესრულებინა თავისი ფუნქციონალური მოვალეობა. მხოლოდ პრესცენტრის და კავშირგაბმულობის სამინისტროს ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა თანამედროვე კომუნიკაციური და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილიყო პარლამენტის ერთი სამსახური მაინც. ამჟამად პრესცენტრში ფუნქციონირებს ორი ტელეფაქსი, კომპიუტერული ტელექსი, კომპიუტერი, მოქმედებს სატელიტური სათანამგზავრო სატელეფონო კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან.

ამ ექვსი თვის განმავლობაში პრესცენტრმა გამოაქვეყნა უზენაესი საბჭოს სტრუქტურების მუშაობაში უპრეცედენტო საანგარიშო მოხსენება და სამუშაო პროგრამა. ამ უკანასკნელს საფუძვლად დაედო პრეზიდენტის ბრძანებულება ინფორმაციის გავრცელების საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ. პროგრამაში განხილული იყო ის სუბიექტური მიზეზები, რომელთა არსებობა ხელს უშლის ჩვენს ეფექტიან მუშაობას. მოცემული იყო უახლოესი პერიოდის კონკრეტული სამოქმედო პროგრამა. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროგრამამ რეზონანსი ჰპოვა არა პარლამენტში, არამედ მის გარეთ. კონსტრუქციული წინადადებებით მოგვმართა და თანამშრომლობა შემოგვთავაზა რამდენიმე საინფორმაციო სამსახურმა. ამ პროგრამით პრესცენტრი გამოდიოდა ინფორმაციის მიღება-გავრცელების სახელმწიფო პროგრამის შექმნის ინიციატორად.

სამწუხაროდ, ბოლო სამი თვის მანძილზე პრესცენტრი გადაიქცა დესტრუქციულ, ბრმა ფანატიკურ ძალებთან ბრძოლის არენად. ჩვენ არ გვინდა დავკარგოთ იმედი იმისა, რომ ეს ბრძოლა გონების გამარჯვებით დამთავრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება სამწუხარო პრეცედენტი, რომლის ნეგატიურ ზემოქმედებასაც მთელი პარლამენტი უახლოეს მომავალში იგრძნობს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი აუცილებლად უნდა არსებობდეს და ემორჩილებოდეს უზენაეს საბჭოს. პრესცენტრის ძირითადი საქმიანობა უნდა იყოს კონტაქტების დამყარება სხვა ქვეყნების პარლამენტების საინფორმაციო სამსახურებთან. პრესკონფერენციების და ბრიფინგების მოწყობა, პარლამენტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მიზნით, პრესცენტრმა უნდა ითავოს საშუალედო რგოლის ფუნქცია დეპუტატებსა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს შორის. უზენაესი საბჭოს პრესცენტრს ინტენსიური კავშირი უნდა ჰქონდეს პრეზიდენტის პრესცენტრთან.

სესიას ვთხოვთ გადაწყვეტილების მიღებამდე გაითვალისწინოს ჩვენი მოსაზრებანი.

თენგიზ დიხამინჯია

28 ივნისი, 1991 წ.

რეპლიკა

მცირე განმარტება

გაზეთ „ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა ლანდა მასხულიას დიალოგი მწერალ რევაზ მიშველაძესთან სათაურით „მოვლენათა ცხელ კვალზე“. ამ კითხვა-პასუხში მოხსენიებულია ჩემი გვარი, რბილად რომ ვთქვათ, მეტად უსიამოვნო, უხერხულ კონტექსტში.

„პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ვეღარ ვცნობ ზვიად გამსახურდიას, — წერს რევაზ მიშველაძე, — საიდან მოვიდა ლექსის მწერალ კაცში ესოდენი სისასტიკე გუშინდელი თანამებრძოლების მიმართ და ადვილად შესამჩნევი მედიდურობა?

თქვენი არ ვიცი და მე კი ცუდად მენიშნა გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე დღეში **რომ მოიცილა** მან არაერთი ურთგულესი კაცი, ხოლო ზოგმა თავისი ნებით დაუქნია ხელი.

იქნებ პატარა საქმედ მიგაჩნიათ ნოდარ წულეისკირის წასვლა მინისტრობიდან?“

ზვიად გამსახურდიას „სისასტიკის“ და უერთგულესთა ადამიანების „მოცილების“ საილუსტრაციოდ მწერალი რევაზ მიშველაძე ასახელებს მხოლოდ ჩემს გვარს, სხვა მაგალითი მას ვერ მოაქვს.

უსამართლობაა, უსამართლობა! ასეთ ბრალდებას პრეზიდენტი არ იმსახურებს. ჩემი მინისტრობიდან წასვლა მოხდა ურთიერთშეთანხმებით, ჩემი განცხადების საფუძველზე. განცხადების დაწერამდეც გვქონდა მოლაპარაკება, განცხადების დაწერის შემდეგაც მთხოვდა „მცირე ხნით“ დარჩენას. მართლაც ის „მცირე ხანიც“ დავყავი სამინისტროში და ბოლოს სადაც ჩემთვის (ჩემი ჯანმრთელობისთვის!) სჯობდა, იქ გადამიყვანა. ბატონ ზ. გამსახურდიასათვის, რასაკვირველია, არც „ხელი დამიქნევია“ (რ. მიშველაძის გამოთქმაა.), პირიქით, უზენაეს საბჭოშიც ვრჩები, ეროვნულ ბიბლიოთეკას გავუძღვები და როგორც მწერალიც უკეთ ვიმუშავებ.

ნოდარ წულეისკირი

წერილი რედაქციას

უფრო მყარად ეროვნულ პოზიციაზე

ღია წერილი „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

ამ ბოლო დროს ჩემს მიერ გამოქვეყნებულმა ინტერვიუებმა და ნოველებმა ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. პრესაშიც გამოკრთა ცრუ აზრი: რევაზ მიშველაძე, როგორც ჩანს, კომუნისტური ეპოქის ნოსტალგიამ შეიპყრო, რაკილა ოპოზიციაში გადაბარგდაო.

ჩანს, მკითხველთა „ერთი ნაწილი“ შეაცდინა ჩემი გამოსვლების კრიტიკულმა პათოსმა. მე არსად გადავბარგებულვარ, იმიტომ რომ არც ერთ პოლიტიკურ ბლოკთან არ ვყოფილვარ „ჩაბუტებული“. რაც შეეხება უკომპრომისობას, განა ჩემი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე ვყოფილვარ შემგუებლურ და მამებლურ-მელავათურ განწყობილებაზე?

ჩემი პოზიცია საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიმართ ყოველთვის გამჩნდა და მისდამი თანაგრძნობა თქვენი გაზეთის ფურცლებზეც არაერთხელ გამომიხატავს.

ახლაც ზუსტად იმ პოზიციაზე გახლავართ, რაზეც მარტო შვიდი თვის წინათ კი არა, მთელი ცხოვრების მანძილზე ვიდექი. მე ჩემი შემოქმედებით ვიბრძოდი და ვიბრძვი საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობისათვის, საქართველოს სრული და საბოლოო თავისუფლებისათვის.

ახალი ხელისუფლების მიმართ გამოთქმული ჩემი შენიშვნები, ზოგმა ენაჭარტალამ ხელზე რომ დაიხვია, ჩვენი ეროვნული პარლამენტის მიერ ჩაფიქრებულ და ნაწილობრივ უკვე განხორციელებულ პოზიტიურ საქმეებთან შედარებით ზღვაში წვეთია, მთელი ჩემი „მხილების“ პათოსი ის გახლავთ, რომ იმ მცირე ხარვეზებსაც ნუ ჩავუგდებთ-მეთქი ხელში ჩვენს არაკეთილმოსურნეთ.

ზოგიერთივით „რევოლუციური ყურეები“ საკუთარი სკამ-პატივის გადასარჩენად არ მიძებნია. თუ მაშინ ვიბრძოდი სიმართლის მხარეზე, როცა ეროვნული მოძრაობის ბედი არცთუ გარკვეული იყო, მაშინ გამოვდიოდი მოსკოვის ლიტერატურულ ტრიბუნაზე, როცა ინფორმაციული ბლოკადა ზენიტში გახლდათ და თუ არ ვცდები იმ ლიტერატორთა მცირე ჯგუფს ვეკუთვნი, ახალი პრეზიდენტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება პრეზიდენტის არჩევნებამდე ცალსახად რომ გამოხატავს თქვენს გაზეთშიაც და სარადიო-სატელევიზიო გამოსვლებშიც.

თავის პოზიციას რევაზ მიშველაძე ასე იოლად არ იცვლის და მე ახლაც მთელი შეგნებით ეროვნული პარლამენტის საწარმართო ღონისძიებებს ვუჭერ მხარს, მაგრამ ეს ხელს როდი მიშლის ნაკლოვანებებზეც ჩემებურად, დაუფარავად ვისაუბრო.

სახელდობრ, არ მომწონს ზოგი პარლამენტარის საქმიანობის რადიკალიზმი, ადამიანთა ბედისადმი ხშირად აგდებულ დამოკიდებულებაში რომ გამოიხატება. არ მომწონს ახალი ფუნქციონერების ცხოვრების წესის პარტიული მუშაკების ცხოვრების წესისთვის დამსგავსება, არ მომწონს ზეიმომანიისა და განდიდების მანიის აღორძინების ცდები, არ მომწონს „ერთი მოსმენით მიღებული“ მოქალაქეობის კანონის ზოგი პუნქტი, არ მომეწონა რექტორთა არჩევის წესის გაუქმება და ზოგი უაღრესად აქტუალური ეროვნული პრობლემის მიჩქმალვის ცდა.

რასაკვირველია, ჩემს შეხედულებებს თავზე არავის ვახვევ. ღმერთმა დამიფაროს უტყუარობის სინდრომისაგან. რასაც მე ვფიქრობ, ერთი კაცის, ერთი მწერლის ფიქრია, მაგრამ არავისა აქვს უფლება ეს ფიქრი ამიკრძალოს, ან მკითხველებამდე მის მიტანაში ხელი შემიშალოს. საბედნიეროდ, კარგად იცით, რასაც მოგახსენებთ. ნუ მომაძებნინებთ ჩემი აზრების გამოსაქვეყნებლად ე. წ. ოპოზიციური პრესის რედაქტორთა კაბინეტებს, კეთილი ინებეთ და თქვენს გაზეთშიც დამკვიდრეთ განსხვავებული აზრის გამოხატვის ტრადიცია. დამერწმუნეთ, ეს თქვენს მიერ დემოკრატიულობისაკენ გადადგმული ლონიერი ნაბიჯი იქნება და საერთო საქმესაც წაადგება.

კარგად ვიცი, ოპოზიციური შეხედულება ხშირად არაკეთილმოსურნეობაში და სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში რომ გადაიზრდება ხოლმე.

სწორედ ეგ უნდა ამოვფხვრათ. თუ შეამჩნიეთ, სწორედ ამგვარ კინკლაობას შევებრძოლე ამასწინათ „ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული ნოველით. ათასჯერ გავიმეორებ: გზა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება ახლა დგას, ჩემი ოცნების გზაა, როგორ შეიძლება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პარლამენტს, თუ რამეს შევძლებ, გვერდით არ ვედგე. ოღონდ როცა მე, რევაზ მიშველაძე ვიტყვი, ჩვენი პრეზიდენტისაგან სრულიად დამოუკიდებლად ზოგი მაფიის აღორძინება ხდება მათ მიერ (მაფიების მიერ) პირად მეგობართა „გააზნაურების“ ნაცადი ხელწერა მეორდება მეთქი, ვინმე მაინც უნდა ჩაუფიქრდეს ამ ნათქვამს, რადგანაც, ამის მთქმელს ახალი ხელისუფლებისაგან საქვეყნო საქმის კარგად წარმართვის მეტი, პირადად არაფერი უნდა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამ ხარვეზებს პარლამენტის არაკომპეტენტურობით ვხსნიდე.

მე პარლამენტის სხდომებს ვესწრები და არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ იქ, მცირე გამონაკლისის გარდა, კომპეტენტური, საქმეში გარკვეული ადამიანები სხედან, მაგრამ საქართველოში მარტო ხელისუფლება კი არა, წყობილება შეიცვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ სხვა ურთიერთობები, სხვა თვალსაზრისი, პრობლემებისადმი სხვა მიდგომა მკვიდრდება და როგორ გინდათ, უშეცდომოდ ჩატარდეს ყოველივე? მე მოვუწოდებ ყველას; ნაკლები მსხვერპლით, ერთგული, ღვაწლმოსილი ადამიანებისათვის გულისტკენის გარეშე ვმართოთ ურთულესი პროცესები. ნუ გავანაპირებთ იმათ, ვისაც საქართველო გუშინ მთელი გულისყურით უსმენდა და, ჩვენს შორის დარჩეს, ახლაც უსმენს. დავიცვათ დაჩაგრული ადამიანები და ზოგი ახირებული „ახალყოილა“ ენას ნუ გამოუყოფს ინტელიგენციას, ეს კარგი ტონი არ არის.

ხშირად მეკითხებიან აზრს, — ნოემბერში უზენაესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ.

ჯერჯერობით მე ვერ ვხედავ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საჭიროებას. არასერიოზულობა იქნება ქართველი ერის ნებიდან ასე წამდაუწუმ სცვალოს ხელისუფლება. ვიმეორებ, ჯერჯერობით ჩვენი პარლამენტის საქმიანობა ძირითადად სწორი პოლიტიკური ორიენტაციით მიემართება. მცირეოდენი ხარვეზები დადებითს, მნიშვნელოვანს ვერ გადასწონის და ადვილად გამოსასწორებელია. თუ ჩვენი პარლამენტის საქმიანობის რომელიმე ეტაპზე დავრწმუნდი, რომ მისი კვეთება ქართველი ხალხის სურვილსა და განწყობილებას არ შეესაბამება, პირველი ვიყვირებ, რიგგარეშე არჩევნები უნდა მოვიწვიოთ-მეთქი. ახლა კი, ასე ნაუცბათევად, ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. ახალ ხელისუფლებას ვუსურვებ მეტ სიდინჯეს და წინდახედულებას, მეტ სიკეთეს და მიმტევებლობას და, რაც მთავარია, ეროვნულ პოზიციაზე კვლავ ძველებურად, მყარად დგომას.

მინაწერი: გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს წერილი, რათა ჩემი პოზიციის შეცვლის შესახებ ბოლოდროინდელ არაჯანსაღ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღოს.

პატივისცემით

რევაზ მიშველაძე,

მწერალი, თბილისის უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, ჟურნალ „ღიმილის“ მთავარი რედაქტორი, საზოგადოება „თვისტომის“ პრეზიდენტი, პროფესორი.

განცხადება

ძვირფასო თანამოძმენო!

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან ასოცირებულ წევრად შესვლასთან დაკავშირებით მოწვეული ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების საგანგებო დიდი დარბაზი ნაცვლად კინოთეატრ „რუსთაველის“ დარბაზისა, გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის საკონფერენციო დარბაზში, 27 ივლისს, საღამოს 5 საათზე.

მისამართი: 9 აპრილის (ყოფილი ჩიტაძის) ქუჩა № 6.

საზოგადოების წევრთა რეგისტრაცია იწარმოებს დღის 3 საათიდან.

საზოგადოების საგანგებო დიდ დარბაზზე საპატიო სტუმრებად მიწვეულნი არიან: სულნათელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი, ქალბატონი ქეთევან ჩოლოყაშვილი მეუღლითურთ; შვილიშვილები, ქალბატონები მეგი ყირიმელაშვილი და ცირა გელოვანი; შვილთაშვილები, ბატონები გური ხუნწარია და დათო კილაძე; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი აკაკი ასათიანი; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საბჭოს წევრები; საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი გიორგი ხოშტარია; საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, ეროვნული გვარდიის სარდალი, ბატონი თენგიზ კიტოვანი; ეროვნული გვარდიის „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის“ მეთაური, ბატონი ტარიელ აბუაშვილი.

ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების პრესცენტრი

ორგანიზაცია „დას“-ის სათათბიროს განცხადება

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებაში“ გაერთიანებულ ორგანიზაციებთან მოქმედების ტაქტიკაში განსხვავებათა გამო, კერძოდ, იმის გამო, რომ ბლოკში შემავალი პარტიების ნაწილი წინააღმდეგია ბლოკის ყოველგვარი, პირდაპირი ურთიერთობისა ხელისუფლებასთან, „დას“-ი გამოდის ბლოკის შემადგენლობიდან. „დას“-ი მადლობას უხდის ბლოკში დარჩენილ ორგანიზაციებს ერთობლივი საქმიანობისა და თანადგომისათვის და უსურვებს მათ წარმატებებს მომავალ პოლიტიკურ საქმიანობაში. ამასთან, იმედს გამოთქვამს, რომ ამ ორგანიზაციებთან კეთილგანწყობილი, საქმიანი თანამშრომლობა მომავალშიც შენარჩუნებული იქნება.

„დას“-ი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი არის საქართველოს არსებულ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი ორგანიზაცია, რომელიც, ითვალისწინებს რა სხვებთან ერთად საკუთარ პასუხისმგებლობასაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთა გამო, თავის უპირველეს მოვალეობად კვლავაც მიიჩნევს:

— შესთავაზოს საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობას, საკუთარი მოსაზრებები ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს განვითარების შესახებ, ჩამოყალიბებული კონცეფციების, მოდელების, კანონპროექტების, სხვა დოკუმენტების სახით;

— შეაფასოს საქართველოში მოქმედი ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ესა თუ ის ქმედება და საჯაროდ გამოთქვას თავისი პრინციპული მოსაზრება მათ შესახებ.

„დას“-ი მზადაა ითანამშრომლოს ნებისმიერ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომლისთვისაც მისაღებია მისი ასეთი პოზიცია.

1991 წლის 20 ივლისი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე

დავით რაფიელის ძე მელუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29.
ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა